

8-97-

59

36035370
26-1111139

საბავშვო



ს.ბ.

1927 საბავშვო გაზეთი

№ 5

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. ორი დღესასწაული	2
2. მედოლეთა შეთქმულება—ა. რიუოვის	3
3. კომუნის დროშა—ს. ერ—ელის	9
4. კომუნის გზით—პიესა	11
5. ყველა ჰიონერი—რემედასის რიგებში—კ. ვასაძის	15
6. პარტიზის კომუნა—შანის	17
7. როგორ უნდა ვიმუშაოთ წიგნით	18
8. ჩვენი მტრები	19
9. რადიო	21
10. ბავშთა შემოქმედება—ლექსი—შ. ადამიასი	22
11. რა უნდა წავიკითხოთ?	13
12. გასართობი	24

329.152 (05)



3.47

მუშათა კლასის საქმისათვის იყავ მზად!

კიბნეზი

1927

15 მარტი

განათლების სახალხო უმინისტროს სტრუქტურული აღზრდის მთავარმართველობის და საცხარეთულოს მ. კ. თ. ცენტრალური მიერთის (საქ. ა. ლ. კომპარტიის ცუკსთან) შერნალი ბავშვებისათვის

წელიწადი II
№ 5



პარტიის
კომუნის
ბელადები

მ რ ი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი

(თებერვლის რევოლუციის 10 წლის და ა. კ. ს. ფ. ს. რ. დაარსების 5 წლის თავი).

12 მარტს ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელნი იხდიან ორ დღესასწაულს: თვითმპყრობელობის დამხობის მე-10-ე წლის თავს და ა.კ. ფედერაციის (გაერთიანების, შეკავშირების) დაარსების მე-5-ე წლის თავს, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას.

1914 წელში დაწყებულმა მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო და დააჩქარა რვითმპყრობელობის დაცემა. სისხლისაგან დაკლილი ქვეყნის ცარცვა-გლეჯა სამი წელიწადი გრძელდებოდა. ომით და შიმშილით დატანჯულმა მშრომელმა ხალხმა ვეღარ გაუძლო დაუსრულებელ ტანჯვა-წამებას და შევიწროებას, მოთმინების ფალა აივსო, და რუსეთის შავ ცაზე დიდი რევოლუციის ცისკრის სხივები აღმოებრწყინდა. ეს მოხდა 1917 წლის 27 თებერვალს (12 მარტს ახალი სტილით).

მაგრამ თებერვლის რევოლუციამ ვერ დააკმაყოფილა მშრომელი ხალხის უმთავრესი მოთხოვნილებები—ზავი, მიწა და მეტალყურეობის (კონტროლის) გაწევა წარმოებაზე. ყველაფერი ეს განახორციელა ოქტომბრის რევოლუციამ.

თებერვლის რევოლუციამ ვერ შესძლო დაჩაგრული ერების მშრომელთა განთავისუფლება. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მრგვცა ნამდვილი თავისუფლება და თვითგამორკვევა, რომლითაც სარგებლობენ ახლანდელი საბჭოთა კავშირის ყველა წინათ დაჩაგრული ერები, მათ რიცხვში ამიერკავკასიის მშრომელნიც. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ გადასჭრა ეროვნული საკითხი სავსებით და მთლიანად.

ეროვნული საკითხის ამ პროლეტარულ-ლენინური გადაჭრის გამოხატულებაა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა, რომლის ხუთი წლის თავს ამიერკავკასიის მშრომელნი დღესასწაულობენ თებერვლის რევოლუციის 10 წლის თავთან ერთად.

თებერვლის რევოლუციამ, გაათავისუფლა რა ამიერკავკასიის ერები ცარიზმის ჩაგვრისაგან, გზა გაუხსნა პროლეტარიატის თავისუფალ ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ხელისუფლების სათავეში ჩამდგარმა ბურჟუაზიამ, რომელიც ახჩობდა მუშათა

და გლეხთა მასებს ამიერკავკასიაში დაარსებული რესპუბლიკების შიგნით, ჩაითრია ერები ძმათა შორის სისხლისმღვრელ ომებში, უსისიანებდა რა ერთი ერის მშრომელებს მეორე ერის მუშებს და გლეხებს. ა.კავკასიის რესპუბლიკების მმართველი ბურჟუაზია, რომელსაც ძალა არ შესწევდა დამოუკიდებლად გადაეჭრა რესპუბლიკის წინაშე მდგარი სახალხო მეურნეობის და კულტურის აღდგენის და განვითარების ამოცანები, დახმარებისათვის მიმართავდა მსხვილი კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტებს, ხდიდა რა მათ ამიერკავკასიის «ფაქტიურ ბატონ-პატრონად და თვითონ კი კისრულობდა მხოლოდ მათ ლაქიობას.

ამგვარად თებერვლის რევოლუციამ ვერ გაათავისუფლა მუშები და გლეხები კაპიტალისტების და მემამულეების ძალა-უფლებისაგან და, მაშასადამე, ვერც ამიერკავკასიაშიც. ისევე, როგორც მთელ რუსეთის ყოფილ იმპერიაში, მან მხოლოდ გასწმინდა გზა შემდგომი ბრძოლისათვის მუშების და გლეხების ძალა-უფლების, საბჭოების ძალა-უფლების მოსაპოვებლად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით და ამიერკავკასიის ფედერაციის დაარსებით ბოლო მოეღო საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთა ურთი-ერთ ქიშპობას და ხოცვა-ჟლეტას, რომელსაც აღვივებდა ბურჟუაზია მისი ხელმძღვანელი პარტიების—მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების სახით—და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ნაციონალურ მშვიდობიანობას და ამ ერთა მჭიდროდ დაახლოვებას საერთო სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობის საფუძველზე. სამეურნეო საქმეებში ურთიერთ დამხმარებით და ხელის შეწყობით ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა, რომელნიც გაერთიანებული არიან ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, მთელი საბჭოთა კავშირის დახმარებით მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს სოციალისტური აღმშენებლობის დარგში, როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ ფრონტებზე.

ამიერკავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცება ხელს შეუწყობს ამიერკავკასიის მშრომელთა ძმური კავშირის შემდგომ განმტკიცებას და ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ზრდას.

მეფოლათა შათქმულება

პორტ-მალიოს დამცველები.

„ვიცეკვოთ კარმანიოლა,
იქუხოს, დე, ქვემეხებმა“...

და ამავე დროს თავზარდამცეპი გრგვინვით
ზედიზედ გასკდა ვერსალელთა სამი ყუმბარა.

მსროლელებმა სუნთქვა შეჭკრეს, ერთ წუთს
ელოდენ, ვიდრე არ გაიფანტა რუხ-მოყვითალო მა-
ხრჩობელა კვამლი.

და როდესაც ამ კვამლის ხვეულებიდან გამო-
ვიდა ექვსი პატარა ბიჭი და ხელებჩაქიდულეებმა
ჩვეულებრივი სამხიარულათ დაიწყეს კარმანიოლას
ცეკვა, ბრუსტვერის გაყოლებით კომუნარების თავ-
შეუკავებელი ხაზხარი გაისმა.

— ჩადით, თქვე ტინკებო! — დაიძაბა ძია გა-
ვომ, — ამოეფარეთ ბრუსტვერს! ხომ არ გინდათ
კაკლების მიღება.

— ოო, ძია გავომ, მათი ტყვის კაკლები ყო-
ველთვის ვინმე დიდს ხვდება! — უბასუხა მას ცამეტი
წლის ვაკსივერმა.

მისი ს ტყვების დასამტკიცებლად გამსკდარი
მეოთხე ყუმბარა ბრუსტვერის მარცხენა კუთხეს
მოხვდა.

— საკაცე!.. — წამოიძაბა უცბად ვილაკამ.
ოთხმა ბიჭმა სწრაფად მიიბრინა საკაციო

ხელში, ორი მოხუცის დახმარებით ჩააწვინეს კომუ-
ნარი და წაიღეს შემხვევ პუნქტამდე.

რვა წლის ბიჭებმა, პოლიომ და ჟანმა, ხენე-
შით და ქაქანით მიათრიეს სანგართან დაქრილი მე-
ბრძოლის სისხლიანი ქუდი და თოფი.

— მოდით აქ, თქვე საპნის ბუშტებო, — ბრა-
ხით წამოიძაბა ბატალიონის უფროსმა. მან დაიჭი-
რა ჯერ პოლი, რომელსაც შარვალი ვარდებოდა
და ებლაუჭებოდა ჟანს, ძღვევამოსილი მკლავით მოი-
ხიდა თავისკენ და ჩარეკა ისინი სანგრის უშიშარ
ადგილას.

„აბა, ცოცხლად, ვერსალელნი
ჩირალდნებად მოათრიეთ“...

წვრილი ხმით დაიწყო მღერა პოლიომ, და რო-
ცა მიწაზე წამოჯდა და შავი ჭუჭყიანი თითები ჩა-
აწყო აწეწილ ქერა თმებში, მალე მას შეუერთდნენ
დანარჩენი ბიჭებიც. მაგრამ ძლიერ მცირე ხნით.
ყუმბარები უფრო ხშირად ეცემოდა და ისევ ხშირად
ისმოდა მღელვარე ხმები: „საკაცე, საკაცე!“ მაშინ
ბიჭები წამოხტებოდნენ ხოლმე და თავის მტრევეით
მირბოდნენ საკაცისათვის.

— ისინი იერიშის მოტანას აპირებენ, მე-
თაურო!..

— ჰო, როგორც ეტყობა. მოქალაქე გავომ,
მე უკვე გავგზავნე მოქალაქე ბენო შტაბში დამხმა-
რე ნაწილის გამოსაგზავნად. ავერ ისიც, აქეთ, ძია
ბენო!..

მაღალი სქელი კაცი გაოფლიანებული ჩამოხტა
ბატალიონის ერთადერთი ცხენიდან და მიიბრინა მე-
თაურთან.

— რა სთქვა შტაბის უფროსმა?.. მოგვაწვდიან
მაშველ ნაწილს?.. აღელვების დაუფარავად შეეკითხა
მეთაური.

— ერთი ბრძანებაა: ებრძოლეთ!..

— იუბიტერს ვფიცავ, ეს მე უნიათოდაც ვი-
ცოდი, ჩემთვის ქვემეხებია საჭირო, ქვემეხები, სად
არის ქვემეხები?..

— ქვემეხები აღარ არის, მეთაურო, უკანას-
კნელნი გუშინ გაგზავნეს მონმარტზე.

— თქვენ უთხარით იმათ, რომ მე ყუმბა-
რები მეყოფა ქვემეხების მხოლოდ ოცჯერ დატე-
ნისათვის?..

— ვუთხარი, მეთაურო, მაგრამ ყუმბარები
მხოლოდ მ-ფუტეანი ქვემეხებისთვის არის, ის ჩვენ
არ გამოგვადგება. არ წამოვიღე.



მათ მიუახლოვდა არტილერისტი.

— საქმე ცუდად იქნება, — სთქვა მან მოღუშულმა, — ჩვენი „ლუიზეტა“ ვერ გაუმკლავდება მათ ბატარეის. უკან დახევა მოგვიხდება, — დაუმატა მან.

ბატალიონის მეთაური შესდგა მიწით სავსე კალათზე და ბრუსტვერიდან გაიხედა.

უშველებელ გველივით გადაჭიმულნი ვერსალელები ნაცრისფერ სივრცეში ეწყობოდნენ ათეულელებად. უზარმაზარი ქვემეხები მზადდებოდა საარტილერიო იერიშისთვის.

ბატალიონი, ანდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც დარჩა ნაციონალური გვარდიის ბატალიონისაგან, და რამდენიმე ათეული მოქალაქე იყო პორტ-მალიეს დამცველი.

ასეთ პირობებში გამკლავება, მეტადრე მაშინ, როდესაც მხოლოდ ერთი ქვემეხი და ოცი ყუმბარა ზოგჯერ მოვლიდათ, შეუძლებელი იყო.



სახე შეხვეული ვაკსივიერი.

მეთაურმა მარცხენა ხელი თავის გრძელ უღვეშებს ბრაზით გადაუსვა და ხმამაღლა შეიგინა.

— ჩვენ უკან დავიხევთ იმ გორაკთან, — წარმოსთქვა მან მოწყენილად, — იქიდან მაინც შევძლებთ დავუშინოთ ჩვენს წინააღმდეგ პოზიციებს, თუ რომ ისინი აქედან გაგვდევნიან.

სერჟანტმა გასცა განკარგულება და 15 კაცმა წაათრია ქვემეხი ახალ პოზიციაზე. ბიჭებს ყუმბარები მიჰქონდათ.

მეთაური ღიმილით უცქეროდა მათ.

— სანამ პარიზს ასეთი ბავშვები ჰყავს, ვერსალელების არ შეგვეშინდება, — წარმოსთქვა მან ამოოხვრით.

— შენ გგონია ისინი ბავშვებს ინდობენ? — ჩურჩულით შეეკითხა იმას ძია გავო. იქნებ შენ არც კი იცი, რომ პირველი იერიშის დროს მათ დახვრიტეს სამი ბიჭი, რომლებიც მამებთან ერთად დაიჭირეს.

მეთაურმა კბილები დააკრაქუნა.

— ამით კი მათ ხელში არ ჩავუვდებით, — წარმოსთქვა მან დაჯერებულად.

ამ დროს სროლის ჯოჯოხეთურმა მუსიკამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

ვერსალელებმა მთლად მიწასთან გაასწორეს კომუნარების ისედაც ნახევრად განადგურებული პოზიციები.

ხმები: „საკაცე“ უფრო ხშირად ისმოდა.

ბიჭები გაოფლიანებულნი დარბოდნენ ადგილიდან ადგილზე და ყურადღებასაც არ აქცევდნენ სპილენძის და ტყვიის სტუმრებს, მათ ირგვლივ რომ ზუზუნებდა.

უცბად პატარა და გამხდარი ვაკსივიერი შეტორტმანდა და დაეცა. მას მკერდში მოხვდა გამსკდარი ყუმბარისაგან გადამსკდარი ნატეხი.

ბავშვის სახე სისხლით შეიღება და ისიც შემხვევ პუნქტში გადაიყვანეს.

ოცი წუთის შემდეგ ის, სახე შეხვეული, კვლავ დარბოდა საკაცით ხელში.

— შენ აქ რა გინდა! — შეჰყვირა მას მოქალაქე ლეზომ.

— შენ რაღა გინდა? — დაუბრუნებდა უპასუხა მან.

— შენ ხომ დაჭრილი ხარ?..

— მე ამ ნაკაწრით უფრო მარდად დავებტივარ, აი, შემხედე.

„ჩირალდნებად, ვერსალელნი ჩირალდნებად მოათრიეთ“.

დაიწყო მან მღერა და, როგორც რგოლი, გაგორდა სიმაგრის მთელ სიგრძეზე. სისხლი გამოდგრა ახვეული ნაჭრიდან და წითელი წვეთებით დაჰფარა მისი ლოყა.

ვერსალელები თანდათან ახლოვდებოდნენ. პორტ-მალიოს დამცველებმა სამკვდრო-სასიცოცხლო სროლა აუტუნეს მათ.


ისინი უპასუხებდნენ, იმალებოდნენ ძველადგან დარჩენილ თხრილებში და თანაც ქვიდან ქვასთან გადმობრბოდნენ.

როგორც ზღვის ტალღების მოწოლა, ისე დაუნდობლად იწვედნენ წინ.

მეთაურმა მქუხარე ხმით ბრძანა უკან დახევა.

კომუნართა ქვემეხს შესაძლებლობა მიეცა მოწინააღმდეგეებისათვის ესროლა თავიანთების თავებს ზევით და იშვიათი, მაგრამ სწორი გარტყმით იგერიებდა მტერს.

მერე კი ვერსალელები ღრიანცელით ხიშტებზე გადავიდნენ.



კომუნარები მირობდნ უკან რამდენიმე ნაბიჯით, იჩოქებდნ, ესროდნ და ისევ მირობდნ უკან გორაკის მიმართულებით.

ტ უ ვ ე

— ჩვენ უნდა მივატოვოთ ყველაფერი ეს?! — გადასძახა სერჟანტმა მეთაურს და მიუთითა ერთ გროვა სურსათზე და იარაღზე.

მან მხრები ასწია და თავის ქნევით დაეთანხმა.

— აბა რას იზამ?... ბიჭები სად არიან?..

— ტიებო, ვაკსივიერი, პიერი და პოსტრელი სხვებთან ერთად იბრძვიან. პოლი და ჟანი კი ვუბრძანე მოშორებით წაეყვანათ.

— რატომ არ წამოიყვანე შენ პეგასი?... ის ჩვენ კარგა გვემსახურებოდა.

საწყალი პეგასი იარაღით სავსე იდგა მარხილთან და ყუმბარის თითოეულ გასკდომაზე შეშინებული აცქვეტდა ყურებს.

— შეჩერდი, შეჩერდი, დაბრუნდი უკან, — გაისმა არეული ხმები მარცხენა ფრთიდან უკან დახეულებში.

მეთაურმა და სერჟანტმა გაიხედეს ამ მიმართულებით და დაინახეს, თუ უკან დახეულთა წრიდან როგორ გამოიყო პატარა ფიგურა უშველებელი თოფით ხელში და დიდი სისწრაფით გაიქცა დატოვებული სიმაგრისაკენ.

— ტიებო, უკან დაბრუნდი, — ხმამალა გასძახა მეთაურმა.

ბიჭი კი მიზბოდა, ყურსაც არ იბერტყდა.

სერჟანტმა შეიგინა.

— ეგ ნამდვილად გადაირია. მაგას ხომ უქველად მოჰკლავენ!?

ეს ადვილი მოსალოდნელი იყო, რადგან იერიშის მომტანთა მოწინავე რიგები უკვე მოსჩანდნ.

კომუნარებმა დაინახეს, თუ პატარა ტიებომ კონდახის რამდენჯერმე დარტყმით როგორ შეამტვრია ძირი ღვინით სავსე კასრებს.

ამ გამოგონებით აღტაცებული კომუნარები ღვინის გადმოღვრას მხიარული ხმაურით შეეგებენ.

ტიებომ ქული დაუქნია მათ და, წაქეზებული მათი თანაგრძნობით, მარდად გაიქცა იარაღით სავსე მარხილისაკენ.

რამდენიმე წამში პეგასი შეება. ტიებო უკვე შეხტა მარხილში და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ორი ჯანდარმის თავი.

მწუხარე ამოოხვრამ და სინანულმა, რომელიც აღმოხდა თითქმის ყველა კომუნარს, ტიებო უნებლიედ მოახედა. დაუმიზნებლად ესროლა და მყისვე ორივენი მიწაზე გაგორდნ.

მერე კომუნარებმა გაიგეს ხმა, გამოწვეული ძველის-ძველი ინსტრუმენტით, — თითებით და პირით, — ეს იყო სტვენა გულის გამხარებელი, გამამხნეველი.

ცხენი ამ სტვენაზე მარდად დაიძრა და რამდენიმე წუთში მიადწია იმ გორაკს, სადაც კომუნარები ბანაკდებოდნ.

მიბრენილი ბიჭების დახმარებით გადააბრუნეს



ტიებომ კონდახის დარტყმით შეამტვრია ძირი ღვინით სავსე კასრებს.

მარხილი და გადმოჰყარეს ყველაფერი, რაც შიგ იყო. მერე ისევ თვლებზე დააყენეს, შეხტენ ზედ ყველანი და წარმოუდგენელი სისწრაფით გააქვენეს ცხენი დარჩენილი სურსათისაკენ.

უფროსთა ყვირილს ყურადღებას არ აქცევდნ. მაშინ სერჟანტმა დაუმიზნა თოფი მიმსროლ მარხილს.

— რას შვრები?... სტაცა ხელი მკლავში მეთაურმა.

— მე მოვკლავ ცხენს და ისინი უკან დაბრუნდებიან, — მტკიცედ გასცა მან პასუხი.

რამდენიმე წუთს უმიზნებდა იგი გულმოდგინედ, მაგრამ მერე გაუსროლელოდ ძირს დაუშვა თოფი.

ძნელი იყო ზურგიდან გაქენებული ცხენისთვის თოფის მოხვედრება ისე, რომ მარხილში მღვომ ბიჭებს არ შეხებოდა ტყვია.



ბრალდებული, თქვენი სახელი?

ისევ დაიწყო ვერსაღელთა ქვემეხების სრო-
ლაც და ასტყდა ცეცხლის მფრქვეველი ბრძოლა.
გორაკიდან დაეშვენ ისევ ქვევით, მკაცრი
იერიშის მიტანით დაატოვებინეს ძველი პოზიციები,
განდევნეს უკან ვერსაღელეები, მაგრამ ოთხი პატა-
რა კი ვერ იპოვეს.

ვერსაღელეებთან.

— ბრალდებული, თქვენი სახელი?

— ტიებო...

— რამდენი წლისა ხართ?...

— თოთხმეტის.

— თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ კომუნის
თანამოაზრე ხართ და მონაწილეობასაც იღებდით მის
სისხლიან ბოროტმოქმედებაში. მაართალია ეს?..

— ჰო, თქვენ ზორბად მოგხვდათ ჩვენგან.

— ბრალდებული თავის დანაშაულს სცნობს.
შემდეგი.

მსუქანი ღენერალი, სამხედრო საველე სასამარ-
თლოს თავმჯდომარე, ძალიან მხნედ მუშაობს. დღეს
მან 120 კომუნარი გაასამართლა, მაგრამ მაინც ყო-
ჩაღად იყო. თითოეულს სამ წამზე მეტს არ ანდო-
მებდა. გადაწყვეტილება რასაკვირველია ერთია: და-
ხვრეტა:

— ბრალდებული, თქვენი სახელი?..

— ვაკსიფიერი. 13 წლის ვარ, — უპასუხებს
წვრილი და ოდნავ აკანკალებული ხმა.

— რისთვის აპყვევით თქვენ კომუნის თანა-
მოაზრეებს?..

— ისინი მე მპატრონობდენ, ბატონო ღენერა-
ლო, მე ობოლი ვარ.

— შენ ბრძოლაში შეგბპყრეს?

— რასაკვირველია, ღენერალო, — ხმა უმტკი-
ცდება, — ჩვენ უბრძოლველად ხელში მტერს არ ვუვარ-
დებთ.

მარხილი შეაჩერეს ჯგუფად დაგროვილ სურ-
სათთან, მერე ჩამოხტენ ოთხივენი და წარმოუდგე-
ნელი სისწრაფით დაიწყეს შიგ ჩაყრა ყველაფერის,
რაც ხელში ხედებოდათ.

მაგრამ ახლა კი მათი მამაცური გეგმა არ
გამართლდა.

ვერსაღელეებმა დაიკავეს დატოვებული პოზიცია,
შეიჭრენ სანგრებში და ზღვისავით დაჰფარეს არე-
მარე, დაჰფარეს ის ოთხი ბიჭიც.

კომუნარები ხედავენ, თუ როგორ უმკლავდე-
ბოდა კარგა მოზრდილი ცხენოსნური ხმლით ვაკსი-
ფიერი, როგორ ებრძოდა ათეულ ჟანდარმს ტიებო,
როგორ დასცა ძირს პატარა პოსტრელი ვერსაღელემა
ჯარისკაცმა მუშტის ერთი დარტყმით და როგორ
მოიყოლა თავის ქვეშ ტყვიით ტვინდანთხეულმა
დავარდნილმა პეგასმა ორმეტი წლის პიერი.

ოთხივენი ცოცხლად ჩაუვარდენ ტყვედ.

ხედავდენ კომუნარები, მათი პატარა ამხანაგე-
ბი როგორ ჩაიგდეს ხელში და რომ დასახმარებლად
არ მიდიოდენ, ეს კომუნარებს არ შეჰფეროდა.

გაისმა ხმამალა მოთხოვნა საწინააღმდეგო
იერიშის მისატანად. ეს მოთხოვნა პირდაპირ
ღრიანცელად გადაიქცა, მეტადრე მაშინ, როდესაც
მოვიდა მაშველი ნაწილი ორი ქვემეხით.

სწრაფად მიუშვირეს რკინის ტუჩები ვერსა-
ღელეებს.

— ბრალდებული თავს სცნობს დამნაშავედ. შემდეგი.

— სახელი?..

— პოსტრელი.

— რას შვრებოდი შენ ბრძოლის დროს?..

— ჩვენ ვერსალელებს ვცხებდით,—ეშმაკური სახის გამომეტყველებით, თვალ-წარბის მოძრაობით ამბობს პოსტრელი.

— კარგია. გმირები ყოფილხართ,—მუცლის გამობერვით ამბობს ღენერალი. იდექით აგრე ყოჩაღად. ლეიტენანტო, მე ვბრძანებ ოთხივე დაიხვრიტოს.

ლეიტენანტი ჩუმად თავს უქნევს.

— თქვენ რას იტყვით, კაპიტანო?..

— არა, ამბობს სასამართლოს წევრი, ამ შემთხვევაში მე უფრო მოწყალე ვიქნები. მე წინადადება შემომამქვს, რომ კარგა გატყუპონ ეგ ბავშვები და მერე მე მომცეთ მედოლეებად: გუშინ დამიხოცეს მედოლეები.

— თუ გამოდგებიან, ძვირფასო კაპიტანო, მე წინააღმდეგობას არ გაგიწევთ, მხოლოდ კარგი გატყუება კი დასჭირდებათ. თქვენ როგორ ფიქრობთ, ლეიტენანტო?..

ლეიტენანტმა კვლავ ჩუმად დაუქნია თავი.

ასე გადაუწყვიტეს ბედი ოთხ პატარა ტყვეს.

*
* *

— ასე რომ ეცემათ აი ეს უმკლავო ვენერა მილოსელის ქანდაკება, ეგეც კი ისწავლიდა დოღზე დაკვრას,— ამოოხვრით წარმოსთქვა ტიებომ და გაიშვირა ხელი ქანდაკებისაკენ.

ეს ბიჭები ბაღში იხსდენ. ოთხივე ჯარისკაცის ფორმაში იყო გამოწყობილი და თითოეულ მათგანს გვერდზე ტყავის ქამრებში ეწყობო დოღის ჯოხები.

ბაღი სავსე იყო მოსეირნე ხალხით. მაგიდებთან იხსდენ მოქეიფენი და ღვინის სმასთან ერთად ლანძღავდენ კომუნას.

— ხომ იცით, რომ პორტ-მალიეს დამცველები ისევ მტკიცედ არიან... ჩურჩულით წარმოსთქვა ვაკსივიერმა.

— ვინ გითხრა?—ცოცხლად შეეკითხა პიერი.

— მე დანამდვილებით ვიცი. გუშინ ორი გენერალი ლაპარაკობდა. ერთი ამბობდა, რომ პორტ-

მალიე, რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა ავილოთო; მეორე კი უპასუხებდა, მთელი კვირაა ვიბრძვით და არაფერი არ გამოდისო.

— ხვალ ხომ ორი კვირა სრულდება მას შემდეგ, რაც ჩვენ ტყვედ წამოგვიყვანეს.

— ტყუილად არ დავემორჩილეთ მეთაურს,— ამოოხვრით წარმოსთქვა ტიებომ.

ამ დროს პიერმა მათ მკლავში წამოსწია. ოთხივენი წამოხტენ და სამხედრო სალაში მისცეს.

მთვრალი კაპიტანი მოუახლოვდა მათ და სკამზე ჩამოჯდა.



დილაზე ოთხი პატარა გვამი იპოვეს.

— ჩემი ასეულიდან ხარო?..— შეეკითხა მათ კაპიტანი.

— დიად, ბატონო კაპიტანო,—უპასუხა ყველამ ერთხმად.

— აი, შენ, სწვდა მუცელში ტიებოს, წალი და დაუძახე ბატონი ოფიცრები.

ტიებო მაშინვე გაიქცა. დინარჩენნი შემკრთალნი იდგენ.

— კარგი. თქვენ ვინა ხართ?..

— ჩვენ დამკვრელები ვართ.

— რაზე უკრავთ?

— ქვაბებზე,—სახის დამანჭვით უპასუხა პოსტრელმა.



- ხოო, მესმის,—წაიბუზღუნა კაპიტანმა.

— ბატონებო,— მიმართა მან მოახლოებულ ოფიცრებს. მოსულა ბრძანება სრულიად საიდუმლოდ. ღამე უნდა გავიდეთ პორტ-მალიეს ასაღებად. აუცილებელია მოულოდნელად თავს დავესხათ. ჩვენ ისინი მძინარები უნდა ჩავიდეთ ხელში. აბა ახლა წადით და იმხიარულეთ, მხოლოდ საღამოთი ნაწილში იყავით.

— ბატონო კაპიტანო, მიირთვით ჩვენთან ერთი არაყი,— მიმართეს ოფიცრებმა. კაპიტანი დაეთანხმა და გაჰყვა მათ.

— გესმით,— წარმოსთქვა ტიებომ, — ჩვენი ნაწილი უნდათ ღამით ჩაიდონ ხელში.

— შევატყობინოთ მაინც! — მწუხარედ სთქვა პიერმა.

— შეუძლებელია,— მცირე ფიქრის შემდეგ დაუმატა ვაკსივიერმა.

ი ე რ ი შ ი.

დაღამდა. შავი, დაღუპვის წინათმგძნობი მწუხრი გადაეფინა ალყაშემოტყმულ ქალაქს.

სძინავთ პორტ-მალიეს დამცველებს. უკვე თორმეტი დღეა შეუცვლელად სდგანან სადარაჯოზე ნახევრად მშიერ-მწყურვალნი.

მკერდზე მიუხუტებიან თოფები და ისე მძიმედ ჩასძინებიან პორტ-მალიეს დამცველებს.

საწყალმა გუშაგმაც ვერ აიტანა უძილობა და ოღნავ თავი ჩაქინდრა თუ არა, ჩაეძინა კიდევც.

ამ დროს კი მტრის რკალი უფრო ახლო და მჭიდროდ ეხვევა მძინარ კომუნარებს.

პირველ რიგებში სდგას ოთხი პატარა მედოლე და მოდიან მტრებთან ერთად თავიანთების წინააღმდეგ.

სძინავთ გაწვალებულებს, სძინავთ გატანჯულ კომუნარებს.

ჩუმად, ჩუმად ეპარება ორიითასი მეომარისაგან შემდგარი რაზმები და უცბად... დოლებმა ასტებეს განგაში:

— ტრა-ტა-ტა, ტრრრრატა, ტრა-ტა-ტა, ტრრრრაბ-ტა-ტა...

მოიერიშე ჯარებში არეგ. დარევა მოხდა.

— ვინ არის ეს, ვინ გასცა ამისი ბრძანება, ეს ხომ დაღუპავს საქმეს?

დოლები კი უკრავენ განგაშს და ამცნობენ კომუნარებს, რომ იარაღს მოჰკიდონ ხელი. ბრძოლისკენ, კომუნარებო, ბრძოლისკენ, ტრაბ-ტა-ტა, ტრაბ, ტრაბ ტა-ტა—და ეს ხმა თითქოს გაჰკიოდა: „მტერი მოდის, მტერი მოიპარება, იარაღს მოჰკიდეთ ხელი, თავისუფალი ხალხის შევიწო“.

და ისმის განგაში დაუცხრომელი. დაუთალავად ეცემა მძიმე ჯოხები ტყავს პატარა ბავშური ხელებით.

კაპიტანი პირველი გამოერკვა, მიიბრინა ბავშვებთან და ერთის დარტყმით ვაგორა პიერი. ვაკსივიერმა ხმამაღლა ბავშურად მორთო ტირილი და უფრო მაგრა დაიწყო დაცვა.

კბილის კრაქუნით მოიქნია ხმლი კაპიტანმა და ვაკსივიერიც მოჰკლა.

ტიებო და პოსტრელი კი ურტყავდნენ დოლებს გამალებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

მორბენილმა ჯარისკაცებმა ხიშტზე ააგეს ტიებო.

კაპიტანი კი ცდილობდა ხმლის ამოდრობას ვაკსივიერის უსულო სხეულიდან.

პოსტრელი განზე გაიქცა და ხმამაღლა ვიძახდა:

— ტრა-ტა-ტა, ტრა-ტა-ტა. ვერსაღელებს დაცხებთ მაგრა, გაუმარჯოს კომუნას. ტრა-ტა-ტა — ეშმაკობა არ გაგივიდათ.

პორტ-მალიემ გამოიღვიძა. დაიქუხა მისმა ქვემეხებმა. ასტყდა თოფის საშინელი სროლა.

— სულერთია, იერიში დაიღუპა,— წამოიძახა გაბოროტებულმა კაპიტანმა და რევოლვერის ტყვიით დააწვინა პატარა პოსტრელი.

დილაზე პორტ-მალიეს სანიტრებმა ოთხი პატარა გვამი იპოვეს.

ძია გავომ მწუხარებით შეაგროვა მათი დოლის ჯოხები.

ა. რიუოვი.



(ნაწყვეტი პარიზის კომუნის დროიდან).

— ...და 18 მარტს გამოცხადებული კომუნა დაეცა 28 მაისს...

იცოცხლა სულ 71 დღე...

ეს მოხდა 1871 წ.

ასე ამბობს ისტორია...

ეუბნებოდა მუხუცი კომუნარი თავის შვილი-შვილს, რა მან გამოკითხვა დაუწყო პაპას, რომელიც ბუხრის წინ იჯდა, ცეცხლაპირს, და ჩიბუხის გაბოლებით ათვალთქვებდა ბარიკადებზე დაფლეთილ პატარა წითელ დროშას, რომელსაც ის ინახავდა, როგორც წმიდათაწმიდას, და რომელსაც ის მხოლოდ ერთხელ ამოიღებდა წელიწადში, კომუნის გამოცხადების დღეს, ემთხვეოდა მოწიწებით და ისევე შეინახავდა...

იგი მოუთხოვრებდა იმ თავდადებებზე, როგორსაც იჩენდენ კომუნარები ბარიკადებზე საყვარელი კომუნის დასაცავად, და იმ შურისძიებებზე, როგორსაც იჩენდენ ვერსალელები დამარცხებულთადმი...

— ეგ დროშა რომელ ბარიკადაზე ფრიალებდა? შეეკითხა პატარა ჟოზეფი.

— როზიეს ქუჩაზე... იქ მამაჩემი იბრძოდა; მე შენზე პატარა ვიყავი მაშინ, ბარიკადაზე ტყვიებს ვეზიდებოდი; როცა დაგვაკლდებოდა ვაზნები, გადავკოცდებოდი ბარიკადის იქით და ქუჩაში დახოცილ ვერსალელებს ფუნსნიდი ჩანთებს; ბევრჯერ დამიშენდენ ხოლმე შორს მდგომი ვერსალელები, მაგრამ მე ჩემსას არ ვიშლიდი... აი, ახლა რომ ვკოჭლობ, ერთ-ერთი ასეთი ამბის დროს მოხვედრილი ტყვიისაგანაა, რომელიც ახლაც ბარძაყში მაქვს ჩაჩენილი და შესისხლბორცებული...

— შენ ამბობ, პაპაჩემო, რომ ეგ დროშა...

— ჰო, ბარიკადაზე მამაჩემი დაეცა უკანასკნელი;

იქაურობას; მამა, რა ტყვია მოხვდა, დროშის ტარს მიეყრდნო მკერდით, სისხლი შადრევანივით სცემდა; ნელი ქარი ჰქროდა—და დროშის კალთას სახეზე სცემდა, თითქოს სისხლის მოწმენდა სურდესო; მამამ შემოხსნა ტარს, გულში ჩაიხუტა, ეამბორა და გადმოძრა:

— საყვარელო შვილო, გიყვარდეს ეს დროშა ისევე, როგორც ყოველ კომუნარს, რომლებმაც ამ ბარიკადაზე დასდეს თავი; შეინახე წმიდად, აღიზარდე დახოცილი კომუნარების შურისძიებად და გადაეცი შთამომავლობას ჩვენი სანატრელი კომუნის სიყვარული; ჩვენი შეცდომანი გამოასწორეთ, უფრო მკიდროდ დაირაზმენით, დაირაზმენით და ისე შეუტყიეთ გათავსებულ ბურჟუაზიას და არისტოკრატიას; ეს დროშა გიძღოდესთ მაშინაც წინ, პარიზის ქუჩებზე!...

მითხრა მან, გადამკოცნა და დალია სული...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ო, შენ არ იცი, ჟოზეფ, თუ როგორ გვიყვარდა ჩვენ კომუნა! მთელი პარიზის მშრომელი ხალხი იცავდა მას თავისი მკერდით: დიდი, პატარა, მოხუცი, ქალი, ბავში—ყველა იბრძოდა ბარიკადებზე; შენთვის რამდენჯერ მიამბნია იმ ლამაზი ბრძოლის ეპიზოდები... ქალებმა ცალკე ბათალიონიც კი შეადგინეს და იბრძოდნენ ბლანშის მოედანზე; 23 მაისს მათ რამდენჯერმე გააბრუნეს შეტევაზე გადმოსული გენერალ მონტოდონის ზუავები¹); ამავ დროს იყო შემდგარი ბავშთა რაზმი, რომელთაც ბარიკადა აღმართეს კარდინეს ქუჩაზე და შეუპოვრად იცავდნენ მას, ვიდრე მერამდენიმე იერიშის შემდეგ არ აიღეს გენ. კლენშანის ჯარებმა...

საშინელი იყო მაშინ პარიზის სურათი: ზარბაზნებით დანგრეულს ცეცხლი ეკიდა, რომლის ალი სვეტებად აღიოდა მალა და ღამ-ღამობით ცას სისხლისფრად ანათებდა... ათიათასობით დახვრიტეს ჩვენები მარსის ველზე, პერლაშეზის სასაფლაოზე, მონმარტუმი და მრავალ სხვა უბნებში; დახოცილები თითო კვირით ეყარენ ქუჩებზე დაუმარხავნი და საშინელი სუნი იდგა...

— ო, ის ურჯულონი! — აღმოხდა ჟოზეფს რისხვით.

— რის რჯული და ღმერთი, ჩემო პატარავ, რას ამბობ; თვით პატრები და კარდინალები მოუძღოდნენ ვერსალელებს ჩვენზე ჯვრით ხელში; ჯარისკაცებს ათრობდნენ ღვინით და ისე გვიტყვიდნენ; ვერსალელი ოფიცრები დადიოდნენ ლაზარეთებში და ეძებდნენ დაჭრილ კომუნარებს, რომლებსაც იქვე ხოცდნენ; არისტოკრატისა და ბურჟუაზიული წრის ქალები, სადაც წააწყდებოდნენ დაჭრილ კომუნარებს, ქოლგის წვერით უჩიჩქნიდნენ ქრილობებს და ისე ხოცავდნენ ტანჯვაში; დამარცხებულთ არ ინდობდნენ, დასცინოდნენ, სადაც მოასწრებდნენ, ხვრეტდნენ; მკვდრებს სახეში აფურთხებდნენ, ტყვიებს არ ზოგავდნენ; მრავალი ათასი კომუნარი ამოალაპეს იფის და სხვა საკატორლო ციხეებში; უთვალავი კომუნარი გადაასახლეს მალაროებში სამუშაოდ ახალ კალედონიაში...¹⁾

ხარხარებდა ჯალათი ტიერი; გენერალი მარკიზ დე ვალიფე ხშირად თითონ უძღოდა პატრულებს ქუჩებზე, სჩხრგვდა მოქალაქეებს და, თუ საეჭვოდ მიიჩნევდა, მაშინვე აპატიმრებდა. შემდეგ ველარ გაიგებდი, თუ რას უზამდნენ მათ...

თუ რა სასტიკად ეტყეოდნენ კომუნარებს, მე გეტყვი შემდეგს, რის მოწმეც მე ვყოფილვარ ხშირად:

— შესდექ, — უყვირის ის გამვლელს, — ვინა ხარ?

— პარიზის მოქალაქე.

— აბა ხელი მიჩვენე.

უსინჯავს მარჯვენა ხელს და თუ შეამჩნია, რომ თეთრი, სუფთა ხელი არაა:

— ჰმ!.. დაკოჭრილი ხელი? მაშასადამე მუშა? კომუნარი... უეჭველად ბარიკადაზე იბრძოლებდა, ჩვენს წინააღმდეგ!..

შეჰყვირებდა და გადასძახებდა მასთან მყოფ ლეიტენანტს:

— კედელთან!

ისიც უბრძანებდა ჯარისკაცებს, რომ შეეპყრათ მსხვერპლი, მიაყუდებდა იქვე, რომელიმე სახლის კედელზე, აიქნევდა ხმალს და ეს კი ნიშანი იყო, რომ ჯარისკაცებს ესროლათ; იგრილებდა თოფები და მუხლმოკვეთილი მუშა ჩაიკეცებოდა იქვე ძახილით:

— გაუმარჯოს კომუნას!

ვალეფე კი, მარცხენა ხელით ხმლის დავაზე დაყრდენით, მარჯვენას შემოიდოიწვებდა, ცალ ფეხს შეადგამდა დახვრეტილს და ამაყად გადახედავდა მკვდრებით მოფენილ ქუჩებს...

მოხუცი კომუნარი ამ ლაპარაკში იყო, რომ მოისმა გაბედული კომუნარების ჯგუფის სიმღერა. დემონსტრაციით გამოსულიყვნენ ქუჩაზე, წითელი დროშებით და, მიუხედავად იმისა, რომ პოლისმენტა¹⁾ რაზმი ეღობებოდა წინ, მაინც შეუპოვრად მიემართებოდნენ კომუნარების, ფედერალების კედლისაკენ, პარიზის კომუნის მსხვერპლთა სათაყვანებლად...

მოხუცმა ველარ მოითმინა, მივიდა ფანჯარასთან და გადაჰკიდა პირველი კომუნის დროშა ძახილით:

— კომუნარებო! აი პარიზის კომუნის დროშა! გიყვარდეთ ისევე, როგორც მის პირველ გამირებს!.. კომუნარებმა თავი დახარეს...

— გასწი!

უთხრა მოხუცმა პატარა ჟოზეფს, დროშა გადასცა და ხელით ანიშნა ამობოქრებულ ქუჩაზე, სადაც მარსელიეზა ინტერნაციონალის ჰიმნში იყო არეული.

გახარებული ჟოზეფი რამდენიმე წუთის შემდეგ კომუნარებს მიჰყვებოდა ჰაპისეული დროშით...

ს. ერ—ლი.

¹⁾ კუნძულია წყნარ ოკეანეში, ავსტრალიის ახლოს.

¹⁾ პოლიციელთა.

პ ი მ უ ნ ი ს გ ზ ი თ

მოკმედნი პირნი:

პოლკოვნიკი—78 წლის.
დეიდა მადლენა—მისი დიასახლისი.
ჟანა—მსახური გოგო, 12 წლის.
ლუი—კოპკავშირელი, 17 წლის.
კიურე.
მასწავლებელი.
პიონერი ბიჭები და გოგონები.
ვერსალელები.

(მოკმედება სწარმოებს საფრანგეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში, 1926 წელს. სცენა წარმოადგენს ეზოს, ბაღის ერთ მხარეს სკამია, მეორეზე—მაგიდა, ჯაგვა, ნიჩაბი, თოხი და სხვა. მოპირდაპირე მხარეზეც სკამი სდგას, რომლის თავზეც გადაჭიმულია თოკი. მადლენა პოლკოვნიკის ტანსაცმელს ჰყენს).

დეიდა მადლენა. მგონი ყველაფერი გავფინე. ჟანა, ჟანა, მოიტა დასაბერტყი ჯოხი.
(ჟანა შემარბის სტუნებით და მხიარული მღერით, ხელში ჯოხი უჭირავს).

დეიდა მადლენა. შენ ხომ სულ უნდა ბტუნაობდე, არამზადავ, დაბერტყე მალე, ვიდრე ბატონი პოლკოვნიკი არ ამდგარა.

ჟანა. (უხსლავდება ტანსაცმელს) ნუთუ გეხალისებათ ამ ძველადეულის მოვლა, დეიდა მადლენა?..

დეიდა მადლენა. ნუ ყბედობ, ჟანა, ვანა არ იცი, პოლკოვნიკი როგორ უფრთხილდება თავის მუნდირებს?.. ზამთრობით რამდენჯერმე ამოიღებს ხოლმე სკივრიდან და უზომოდ სტკებება ცქერით, გაზაფხულზე კი, მზე რომ პირველ სხივებს გადმოანათებს, ხომ მთლად მოსვენებას არ იძლევა: როდის გამოჰფენ ჩემს მუნდირებსო?..

ჟანა. მე კი, ბატონი პოლკოვნიკის ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ამ მუნდირებს ვაჩუქებდი ჩვენს მებოსტნეს, ის მისაგან ჩიტების კარგ საფრთხობელას გააკეთებდა.

(მუნდირის მკვლელებს განზე სწევს, სხეს იმანჯავს) ხომ მართალია, რომ არცერთი ყვაფი ახლო არ მიეკარებოდა.

დეიდა მადლენა. აი, შე საძაგელო, შენა, როგორა ბედავ, რომ პოლკოვნიკის მუნდირს ასე აბუჩად ივდებ?

ჟანა. (რევერანსის გკეთებით) უკაცრავად, დეიდა მადლენა, მე ეს უცაბედად წარმოვთქვი, მე მინდოდა მეთქვა, რომ ბოსტანში ჩიტების სა-

ფრთხობელად თვით ბატონი პოლკოვნიკი გამოვდებოდა.

დეიდა მადლენა. აი, შე საძაგელო გოგოვ, შენა, როგორ ბედავ, როგორ? დამაცალე, მე შენ გიჩვენებ! (ხელიდან საბერტყე ჯოხს სტატებს და სურს დაბრტყეს, მაგრამ ის გაურბის; ამ დროს ისმის ბებრუდი ხმა: „მადლენა, ჟანა!.. სად ხართ, თქვე ეშმაკის კერძებო!“.. შემადის ჰაფკოვნიკი. მხსუნია, ჯოხს ეყრდნობა).

პოლკოვნიკი. სად დაიღუპენით ყველანი, სად? ბუხარში ცეცხლი ჩაქრა, ოთახი გაცივდა. ვყვირი, ვყვირი—და ერთი კაცი ხმას არ მაძლევს.

დეიდა მადლენა. უკაცრავად, ბატონო პოლკოვნიკო, თქვენ მიბრძანეთ მუნდირები მზეზე გამომეფინა, მეც გამოვიტანე, ვიდრე თქვენ გეძინათ.

პოლკოვნიკი. (მოჯბა). ჟანა მაინც დაგეტოვებინა. მუნდირები გამოიტანე? ეს კარგია. (მადის მუნდირთან, ხელს უსვამს, ეაფქნებს) მადლენ, იცი შენ ეს მუნდირი რამდენი წლისაა?..

დეიდა მადლენა. არ ვიცი, ბატონო პოლკოვნიკო!..

პოლკოვნიკი. ამ მუნდირში ვიბრძოდი მე გერმანელებთან, ეს იყო 1871 წელს. ახლა 1927 წელია. აბა დათვალე, რამდენი წელია?..

დეიდა მადლენა. (რადაცას ბუტბუტებს და თითებზე ითვლას).

ჟანა. 56 წელია, ბატონო პოლკოვნიკო!..

პოლკოვნიკი. ჰოო, 56 წელია (ჟანას), შენ კი ნუ ეჩრები იქ, სადაც შენი საქმე არ არის. (მადლენას) მე მაშინ ოცდასამი წლის ვიყავი. მე მაშინ ცხენოსანი ვიყავი. ძლიერ ყოჩალი ვიყავი, მადლენა, ყოჩალი.

დეიდა მადლენა. რას ბრძანებთ, ბატონო პოლკოვნიკო! თქვენ დღესაც ყოჩალი ხართ, დღესაც.

პოლკოვნიკი. (უფავაშების გრეხათ) მაშ, მაშ, ამბობენ, რომ ახლაც უშნო არა ვარ. კხე, კხე, კხე! (ახველებს) მაგრამ მაინც ის არა ვარ, რაც ვიყავი. აი, ეს მუნდირი პირველად ჩავიცვი მაშინ, როდესაც მივდიო-



დი გერმანელებთან სადენტან ბრძოლაში. შევჯექი ცხენზე და ყველა მე შემომქყეტოდა. ხა, ხა, ხა, ხა!

დეიდა მადლენა. ხი, ხი, ხი, ხი!

ჟანა. (ჟღერის ჰალკოვნიკს და ემსხსრავენს).

დეიდა მადლენა. (გაჯავრებით) ჟანა!.. (ჰალკოვნიკს) გერმანელებს სად შეეძლოთ, ბატონო პოლკოვნიკო, გამკლავებოდნ ისეთ მშვენიერ ფეხაკებს, როგორც თქვენა ხართ? ალბათ მხოლოდ ქუსლები ბრწყინავდნ, როდესაც ისინი ზურგ შეპრუნებული მიიპარებოდნ.

პოლკოვნიკი. ჰოო, (მწუხარედ) არა, მადლენ, ჩვენ მათ დაგვმარცხეს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გავიმარჯვეთ უღმერთოებზე და რევოლუციონერებზე. ჰოო, ღმერთმა გვიშველა და გავუსწორდით პარიზის საზიზღრებს, რომელთაც არ უნდოდათ პარიზის გერმანელების ხელში გადაცემა და დაიწყეს რაღაც სოციალისტური კომუნის მოწყობა.

დეიდა მადლენა. კომუნაზეც გამიგონია რაღაც, ბატონო პოლკოვნიკო, მაგრამ წინათ.

პოლკოვნიკი. ჰოო, მათ აიძულეს, რომ პარიზის მთავრობა ვერსალში გაქცეულიყო. მე მაშინ მთავრობის ჯარში ვიყავი, და ღვთის შემწევობით კომუნა დიდხანს არ დარჩენილა. მალე ყველა პატიოსანმა ბურჟუამ მოინანია და დარჩენ მხოლოდ საძაგელი პროლეტარები, მუშები, რომელნიც ამბობდნ, რომ თავიანთ კომუნას უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავდნ. რას იზამ, ჩვენც ავუსრულეთ ეს. (სიცილით) ხა, ხა, ხა, ხა! ჩვენც უკანასკნელ წვეთამდე დავცალეთ მათი სისხლი. აი, ეს მუნდირი მოწმეა იმისა, თუ როგორ ვხვრეტდით ათასობით კომუნარებს.

ჟანა. (თავისთავის) საზიზღარი, რასა კვებულობს, სისხლის მსმელი.

პოლკოვნიკი. რას ბუტბუტებ შენ მანდ?.. (მადლენა) და ამოგწყვიტეთ ისინი ბავშებიანად. მათი ბავშებიც ხომ კომუნარები იყვნენ. ახლა მშვიდადა ვართ; სამუდამოდ გავათავისუფლეთ საფრანგეთი სოციალისტური ბოღვებისაგან.

დეიდა მადლენა. დრო არ არის, ბატონო პოლკოვნიკო, წამალი დალიოთ?..

პოლკოვნიკი. (იჭქრება სხათში) დროა, დრო! ერთი მომიტანე სავარძელი აი აქ, მზეზე, ცოტა გვერდები გავითბო.

ჟანა. (სავარძელს მისწევს, ჰალკოვნიკი ჯდება, მადლენა გადის).

პოლკოვნიკი. ჰოო, სამუდამოდ მოგისპეთ კომუნის სურვილი. (ბუტბუტში ჩაქძინება. შემოდის ლუი და რამდენიმე ბიჭი. აცვიათ ლურჯი ხალათები და ზედ ჰალტაები აქვთ წამოსხმული. მათ ჟანა უახლოვდება)

ლუი. ჩემს ოთახში ვიწროობაა და თანაც ღღეს მზე ისე ანათებს, რომ სასურველია გარეთ წავიმეცადინოთ. ამ დროს აქ არავინ არის. (იხედება ირგვლივ) მგონი კუთხეში ვილაც ზის.

ჟანა. ეს ჩვენი ბერები ასკილია, პოლკოვნიკი. მას სძინავს და თან ყრუც არის, სულერთია, არაფერი არ ესმის.

ლუი. ეს ვისი მუნდირებია,—მისი?..

ჟანა. ჰოო, მისია. ის ღღეს სულ ტრაბახობდა, გვიამბობდა, თუ ამ მუნდირებში გამოწყობილი როგორ ხვრეტდა კომუნარებს.

ლუი. ტყუილა სძინავს შენს პოლკოვნიკს ასე ტკბილად. ვერ ხედავს, თუ რა ხდება ქვეყნად? მართალია, ბურჟუაზიულმა მთავრობამ 71 წელს დახვრიტა კომუნარები, რომელნიც მშრომელთათვის იბრძოდნ, მაგრამ კომუნის საქმე არ მომკვდარა. ის საიმედო ხალხის ხელშია, კომინტერნის ხელში. კომუნისტებს კაცობრიობა სოციალიზმისაკენ მიჰყავთ და პიონერები კი მათი ერთგული თანაშემწეები არიან.

პირველი ბიჭი. ისინი ბევრნი არიან?..

ლუი. რუსეთში მილიონზე მეტია.

მეორე ბიჭი. საფრანგეთში?

ლუი. ჩვენში პიონერული მოძრაობა სუსტია, მაგრამ ყოველწლივ იზრდება. საფრანგეთის პროლეტარული ბავშვები ისევე იზარებებიან, როგორც სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, აი, სწორედ ამიტომ უნდა იბრძოლონ ბავშვებმაც მოზრდილებთან ერთად და თანასწორად.

მესამე ბიჭი. აი, გაზეთში რამდენი საინტერესო რამე სწერია. ჩვენ კი არაფერი გვემის. დავდივართ სკოლებში და მხოლოდ ღმერთისა და ძველი მეფეების შესახებ გვიამბობენ. ბავშვებო! როდის დაიბადა კეთილმორწმუნე ლიუდოვიკო? როდის დაიბადა ლიუდოვიკო XI, XII, XIII, XIV, XV, XVI!.. ფუუ, რამდენი ლიუდოვიკოა.

მეოთხე ბიჭი. მე გუშინწინ როგორღაც ვუთხარი მასწავლებელს: „თქვენ, მასწავლებელო,

გაგვიჩინეთ ვინმე ახალი ლიუდოვიკო, თორემ ეგენი ისე დაძველდნენ, რომ მალე მათ ხავსი გადაეკვრება მეთქი“. ის კი ისე გაბრაზდა ჩემზე, ისე, ისე, რომ დამიწყო ფეხების ბაკუნთი, ყვირილი და მიბრძანა, რომ ორმოცდაათჯერ დამეწერა: „მე უზრდელი და სულელი ვარ, მასწავლებლო!“..

მეორე ბიჭი. მერე, დაწერე?

მეოთხე ბიჭი. ჰოო, დავწერე, მე კი არა, სულელი მასწავლებელია მეთქი.
(ბავშვები იცინიან).

ლუი. სიცილი გვეყოფა, აბა ახლა ვიმეცადინოთ (მიმართავს უანსას). პიონერმა როგორ უნდა დაიცვას თავი სასამართლოს ჩინოვნიკებისა და პროვოკატორებისაგან?

უანა. (შეშფოთებით) არავის არ უნდა ვააგებინოს ის, რაც თვითონ იცის ბავშთა კომუნისტური ჯგუფების შესახებ. (თავისთვის) მე კი კინალამ წამომცდა.

ლუი. პიონერი უცხოებთან როგორია?

პირველი ბიჭი. ჩუმი, როგორც თევზი.

ლუი. მტრებთან?..

პირველი ბიჭი. მოხერხებული და ეშმაკი, როგორც მელია.

ლუი. ბრძოლაში?..

პირველი ბიჭი. ყოჩაღი და გულადი.

ლუი. ჩვენი ლოზუნგი?..

ყველანი. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კავშირს, გაუმარჯოს კომუნას.

პოლკოვნიკი. (ძაღვი) ვინ ყვირის? ვინ ბედავს? კიდეც, კიდეც კომუნა?!. კომუნიზმი?..

პირველი ბიჭი. ბებერი ქოფაკი რალაცას ბოდავს.

უანა. ალბათ ესიზმრება, თუ როგორ ხვრეტს კომუნარებს.

პოლკოვნიკი. პარიზის კომუნა... ლურჯი ხალათები... საზიზღრები... ყველა დაიხვრიტა, ყველა...

(სინათლე ქრება. სიბნელეში კეთდება ბარაკადა მაგიდას, სკამისა და ჭაგვისაგან. ბიჭები შალტოებს უჩიან, იღებენ თოფებს და აწეობენ ბარაკადებთან. შემოდის რამდენიმე კაცი, ჩამოკიდებულ მუნდირებს იტყავენ. შემოდის და წვება რამდენიმე ჯარისკაცი. ისმის კარმანიფლის ხმები. სრფლის ხმები. ინთება წითელი ელნათურები. ბარაკადის წვერზე კომუნარი ცდილობს დროშის დამაგრებას. შემოდის კიდევ ორი ბიჭი).

პირველი ბიჭი. (მეორეს) მამა აქ უნდა იყოს. (უთითებს ბარაკადაზე) აი ის, შეხედე ბარაკადას,

მალლა ხედავ? მამაჩემი დროშას ამაგრებს მასზე.

მეორე ბიჭი. დაიკუზე, აი, ასე მივიდეთ მასთან
პირველი ბიჭი. გამიშეი, მე არ მოვალ, ჩემი მოსვლა არ შეიძლება.

მეორე ბიჭი. აა, მშიშარავ, შეგეშინდა?.. სროლისა შეგეშინდა?.. ოღონდ შენ ცოცხალი იყო და კომუნათუ გინდა მოსპონ, არა?—

პირველი ბიჭი. ტყუილია, მე მშიშარა არა ვარ, მაგრამ მე სიტყვა მივეცი მამას—არ წავიდე ბარაკადაზე: იმიტომ, რომ დედაჩემს მეტი არავინ რჩება.

მეორე ბიჭი. როგორც გინდა, ისე მოიქეცი. მე არც სახლი მაქვს, არც დედა მყავს. არავისთვის სიტყვა არ მიმიცია.

პირველი ბიჭი. (შეჭევირებს) მამა!.. დაეცა... გავიქცეთ მასთან. (მიძვრებაან ბარაკადაზე).

პირველი ბიჭი. (ცდილობს მამის წამოყენებას) მამავ, შენ დატრილი ხარ. მე მოვედი, მე გამოვედი, მე არ შემეძლო შინ დარჩენა, როდესაც აქ კომუნარებს ხვრეტავენ. რათ სდუმხარ, მამავ?..

კომუნარი. ნუთუ ვერ ხედავ, ბავშო, რომ ეგ არ სუნთქავს. ეს მეორეა, რომელიც ცდილობდა დროშის დამაგრებას.

პირველი ბიჭი. მე დავიკავებ მას. (აიმატება მთელი ტანით ბარაკადაზე, იკავებს დროშას). გაუმარჯოს კომუნას.

ვერსალელი. ეი, ძაღლის ლეკვა, დააგდე დროშა, თორემ ტყვიას მიიღებ.

პირველი ბიჭი. (მუშტებს უღერებს ვერსალელებს) მშიშარებო, საძაგლებო, მოლალატენო, რამდენად მიჰყიდეთ გერმანელებს პარიზი?.. თქვენ ვერ გაუსწორდებით კომუნარებს. გაუმარჯოს კომუნას!..

(სრფლა. ბიჭი ეტყება).

(სტენსზე გამოდის ბიჭი და გოგო. ბიჭი კასრს მოაგონებს, გოგას კალათით საჭმელი მოაქვს.).

ბიჭი. აჰა, მოვიტანეთ, გამხნევდით. ალბათ, დილას აქეთ არაფერი გიქამიათ.

კომუნარები. ყოჩაღ, ბავშებო, არ შეგშინებიათ ტყვიების!..

გოგონა. გაგვიქროლებდა ხოლმე ყურების ახლოს, მაგრამ არ მოგვხვედრია.

ბიჭი. (კომუნარს) მომეცი თოფი, შუბლი მინდა გავუხვრიტო რომელიმე ვერსალელს.

კომუნარი. არა, ბიჭო, ეგ არ შეიძლება. ტყვიები თითქმის აღარც კი გვაქვს.



ბიჭი. მაშ არ იძლევი? კარგი (მიმომხედავს), ახლავე გავაჩენ ტყვიებს: ჯარისკაცებს აქეთ. (ჩარბის ქვევით, ჯარისკაცებს ტყვიებს აცდის და კომუნარებს უვირის) აქ ტყვია ბევრია, რამდენიც გინდათ. ყველას ეყოფა.

ხმა ბარიკადიდან. ეი, ბიჭო, არ გესმის, უკან დაბრუნდი, მოგხვდება ტყვია, ხედავ, როგორ დაგაყარეს?..

ბიჭი. მე კი მეგონა, წვიმაა მეთქი. (მანტ ჰქრეფს ტყვიებს).

ვერსალელები. ეი, თავო, ახლა მიიღებ ჩვენგან საჩუქრად ტყვიას. აღარ დაგქარდება მოგროვება.

ბიჭი. (წამოადგება) ხომ არ გგონიათ, რომ მე თქვენი მეშინია. საზიზღრებო, დამიფურთხებია ტყვიებისათვის. (მღერის კარმანიოლას, ავროვებს ტყვიებს. ვერსალელები ესვრიან. ბიჭი ხან წვება, ხან დგება. იტინის, ხარხარებს).

ხმა ბარიკადიდან. მოშორდი მან დედან, მოგკლავენ.

ბიჭი. არ მეშინია. გაუმარჯოს კომუნას! (სრულად ეცემა ბიჭი. სინათლე ქრება).

პოლკოვნიკი. (ძიღში) ააა, ძაღლის ლეკვო. მიიღე? ყველა დაიხვრიტოს, ყველა ტყვეებიც და ბარიკადებზე მყოფნიც.

(სტენაზე სამკლავიანო მარმის ხმა ისმის. სიბნელეა. ხელ ხელა ინთება წითელი სინათლე. ერთ მხარეზე კომუნარი მუშებია, მეორეზე—ვერსალელები).

ვერსალელი მოსამართლე. დიურე, რა ხელობისაა მაშაშენი?

დიურე. ის მექანიკოსია.

მოსამართლე. შენ რატომ არ მუშაობდი მასთან ერთად?

დიურე. იქ სამუშაო არ იყო.

მოსამართლე. ბუვარე, რისთვის გახდი შენ კომუნის თანამგრძობი?..

ბუვარე. რომ საარსებო პური მქონოდა.

მოსამართლე. კონიოკლ, შენ კომუნის თანამოზრე იყავი?

კონიოკლი. დიან.

მოსამართლე. რათ მიატოვე შენი ოჯახი?

კონიოკლი. იმიტომ, რომ ჩვენ პური არა გვქონდა.

მოსამართლე. რამდენჯერ გაისროლე თოფი?

კონიოკლი. ორმოცდაათჯერ.

მოსამართლე. ლამარ, შენც ასევე მიატოვე ოჯახი?

ლამარი. ხო, იმიტომ, რომ ვშიმშილობდი.

მოსამართლე. სად წახვედი?

ლამარი. ყაზარმაში ჩავეწერე.

მოსამართლე. ლებერგ, თქვენ პატრონს სალარო გაუქურდეთ?.. რამდენი მოიპარეთ?..

ლებერგი. ათი სუ.

მოსამართლე. ეს ფული ხელებს არა გწვავდათ.

რუპორი. თქვენს ბაგეებს, თქვენს ბაგეებს კი არა სწვავდა ეგ სიტყვები?.. საცოდავებო და საძაგლებო, თქვენ არ გესმით, რომ ბავშვთა წინაშე თქვენა ხართ დამნაშავენი, რადგან თქვენ გამოჰყარეთ ისინი მშიერ-მწყურვალნი გარეთ, ქუჩაში, თქვენ მოუსპეთ ყოველგვარი იმედი არსებობისა, თქვენ, ბატონო მხაგვრელებო!..

მოსამართლე. იცით მერე, თუ რა გელისთ აჯანყებისათვის?

ბიჭები. სულერთია, თქვენ შეგიძლიათ ჩვენ დაგვხოცოთ, ჩვენ კი მაინც დავიძახებთ „გაუმარჯოს კომუნას!“

(წითელი სინათლე ქრება. ბიჭები ჰელტებს იცვამენ. შირველი სტენის დეკორაციას ადგენენ სინათლე ქრება).

პოლკოვნიკი. (იღვიძებს) ეს სიზმარი იყო. ისინი დაიღუპნენ. დიდი ხანია დაიღუპნენ ყველა ისინი, რომ ყვიროდნენ: „გაუმარჯოს კომუნას“. (ეურს უგდებს). ესენი ვინ არიან? ეს რა არის?..

ლუი. გაუმარჯოს მოსკოვს.

ბიჭები. (ერთხმად). გაუმარჯოს კომუნისებს!..

პოლკოვნიკი. ისინი აღსდგენ, ისინი ისევ აღსდგენ, ვინც ყვიროდა: „გაუმარჯოს კომუნას?“.. (უახლოვდება ბიჭებს, ემუქრება ჯოხით). ლურჯხალათიანებო, საძაგლებო, კომუნარებო... როგორ ბედავთ თქვენ... დაიხვრიტენ, ყველანი დაიხვრიტენ. (ბნელდება)

რუპორი. ნუ გაქვთ იმედი. მტკიცე და ბეჯითი ნაბიჯებით მიემართება პროლეტარიატის მსოფლიო არმია სოციალიზმისაკენ. მათთან არიან ერთგული და საიმედო მათი შემცვლელნი — ნორჩი პაონერები.

(ინტენსივად. სინათლე. შიონერთა ადღუმი)
ფარდა.

ყველა პიონერი—რემედისის რიგებში.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მშრომელებმა უკვე 9 წელია, რაც დაამსხვრიეს ჯერ მეფის, შემდეგ ბურჟუაზიის და მემამულეების ხელისუფლება. ჩვენი კავშირის მუშათა კლასი განთავისუფლებულია ყოველგვარი ბურჟუაზიული ჩაგვრისაგან და აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას. თეთრი ტერორი, გაგდასახლება, დევნა, ციხე დღეს მისთვის წარსული შავი დღეების მოგონებაა.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი გამუდმებით მძვინვარებს თეთრი ტერორის რეჟიმი, თავისი ცხოვრების და ბატონობის უზრუნველსაყოფად მთელი ქვეყნის ბურჟუაზია მიმართავს რევოლუციონური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ უსაშინელეს სისასტიკეს, ტერორისტულ ზომებს. ბურჟუაზია ცდილობს მუშათა მასების რევოლუციონურ გზაზე შედგომის პროცესი შეაჩეროს რეპრესიებით, ციხით, სახრჩობელებით.

თეთრი ტერორის მსხვერპლი ხდება ყოველწლიურად მრავალი ათასი რევოლუციონერი.

ბურჟუაზიის განკარგულებაში არის მთელი სახელმწიფო: სასამართლოები, პოლიცია, ჟანდარმერია, რომელსაც ის ამოქმედებს მუშათა კლასის მიზნების სისხლში ჩასახრჩობად. ამ საქმეში მას ერთგულად ემსახურებიან ყველა ჯურის მოღალატე სოციალისტ-მენშევიკები.

ამ გზით მსოფლიო ბურჟუაზიას საშუალება ეძლევა რამოდენიმე ხნით მაინც ხოცვა-ჟლეტით გაუმკლავდეს მსოფლიო რევოლუციონისათვის მებრძოლთ. ამ საშუალებით შესძლეს მათ მუშათა კლასის რევოლუციონური რიგებისათვის მოეწყვიტათ მისი საუკეთესო ბელადები, კომუნისმისათვის მებრძოლნი: ლიბკნეხტი, ლიუქსემბურგი, იოგინესი, ტიშკო, კონგისე, ენგელი, ვენჩერკოვიჩი, პოეტლო და სხვები.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირი გახდა მთელი ქვეყნის ტანჯულთა და დაჩაგრულთა იმედი. ყველა ქვეყნებ-

ში ჩამოყალიბდა და გამავრდა კომპარტია, რომელიც ახლა გამირულად იბრძვის მსოფლიო ოქტომბრისათვის. ამ ბრძოლაში ყველა ქვეყნის კომპარტიას ზურგს უმაგრებს გამარჯვებული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი. ამიტომ არის, რომ ბურჟუაზია ასე შეუპოვრად ებრძვის კომუნისტური მოძრაობის ჩანასახებს და ათასობით ჰკლავს, აწამებს



ინგლისელი პიონერები აგიტაციის ეწვეიან რემედისში ჩაწერის სასარგებლოდ.

მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებს.

პოლიტიკურ ტუსაღებს კაპიტალისტურ ქვეყნებში, კოლონიებში და ნახევარ-კოლონიებში ეხმარება საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საზოგადოება—**„რემედისი“**.

რემედისი დაარსდა 4 წლის წინეთ ძველი რევოლუციონერების ხელმძღვანელობით. რევოლუციონერებისათვის დასახმარებლად დაწესდა განსაკუთრებული საწევრო გადასახადი, რომელიც სხვა შემოწირულებასთან ერთად ეგზავნება პოლიტ-ტუსაღებს და მათ ოჯახებს.

ამ 4 წლის მუშაობის პერიოდში რემედასმა საბჭოთა კავშირში შესძლო თავის რიგებში შეეკავშირებინა დაახლოებით 5 მილიონამდე მუშა და გლეხი. აქედან რემედასის საქართველოს ორგანიზაციაში ირიცხება 80.000-მდე წევრი.

დღიდან თავისი არსებობისა, რემედასი ნივთიერ დახმარებას უწევს როგორც პოლიტ-ტუსაღებს, ისე მათი ოჯახის წევრებს, აგრეთვე იმ პოლიტ.ემიგრანტებს, რომლებიც ათასობით გაუბრუნდნენ თეთრ ტერორს და მოდიან საბჭოთა კავშირში.

დღემდე გაწეული დახმარება როდი არის საკმარისი. რემედასს ჯერ კიდევ არა აქვს საშუალება საჭირო დახმარება აღმოუჩინოს კაპიტალის ყვე-



ხელი უნდა გაუწოდოთ კაპიტალისტების ციხეებში მყოფ რევოლუციონერებს

ლა ტყვეებს. საჭიროა ათჯერ გაუმჯობესდეს ფინანსური მდგომარეობა, რათა საშუალება მიეცეს რემედასს მომავლისათვის შესძლოს უფრო ენერგიული დახმარების აღმოჩენა როგორც პოლიტ-ტუსაღების და მათი ოჯახის წევრების, ისე პრავალრიცხოვან პოლიტ-ემიგრანტებისადმი (შემოხიზნულები), რომლებიც ათასობით მოდიან კაპიტალისტური ქვეყნებიდან.

ეს კი შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც ყოველი მშრომელი შეიგნებს თავის მოვალეობას პოლიტ-ტუსაღების მიმართ და გახდება „რემედასის“ წევრი. მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიფიქ-

როთ, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მყოფ პოლიტ-ტუსაღებისადმი დახმარების ამოცანა სავსებით გადაწყვეტილი იქნება.

საკმარისი არ არის მარტო ნივთიერი დახმარება. ჩვენ პოლიტ-ტუსაღებს უნდა დავებმაროთ ზნეობრივადაც. ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ დასავლეთის და აღმოსავლეთის რევოლუციონერებს, რომ ისინი მარტოდ არ არიან ბრძოლის დროს, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთი-მეორეს გვაშორებს თეთრი ტერორი და ბურჟუაზიული ციხე-სიმაგრეების შავი კედლები.

ჩვენ სულიერად ყოველთვის მათთან უნდა ვიყოთ და არასოდეს არ უნდა ვივიწყებდეთ კაპიტალისტურ ბრძალებს ქვეშ მოქცეულ მებრძოლთა მძიმე ხვედრს.

18 მარტს, რემედასის დღეს, ნორჩმა პიონერებმა უნდა სთქვან თავისი სიტყვა.

უპირველეს ყოვლისა, ის პიონერები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არიან რემედასის წევრები, უნდა ჩაეწერონ მის წევრად.

ყოველმა პიონერ-კოლექტივმა და ფორპოსტმა უნდა იზრუნოს ამაზე.

აგრეთვე, პიონერებმა აგიტაცია-პროპაგანდა უნდა გასწიონ ოჯახში, რომ ოჯახის ყველა წევრი გახდეს რემედასის წევრი.

პიონერებმა უნდა შეაგროვონ შემოწირულობანი თავიანთი თანამოძმეების სასარგებლოდ; იმ თანამოძმეთა, რომელთა მამებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში რევოლუციონური მუშაობისათვის არიან მოკლულნი, ან ციხეებში არიან დატყვევებულნი.

ამასთანავე პიონერებმა უნდა აწარმოონ კაპიტალისტურ ქვეყნებში მყოფ თავიანთ თანამოძმეებთან მიწერ-მოწერა, გაამხნეონ ისინი და სხვა.

მაგრამ უმთავრესი მუშაობა პიონერებმა რემედასის სასარგებლოდ უნდა ჩატარონ სკოლაში, შეუკავშირებელ ბავშთა შორის. აქ ბევრი რისამე გაკეთება შეიძლება.

სკოლაში პიონერებმა უნდა ჩატარონ საუბრები რემედასის შესახებ, შექმნან რემედასის კუთხე, გამოუშვან რემედასის კედლის გაზეთი და სხვა. ასეთი მუშაობით შეიძლება შეუკავშირებელ ბავშთა ჩაწერა რემედასის წევრებად.

რემედასის წევრებად უნდა იყვნენ საქართველოს ყველა პიონერები და მასთან ერთად მოსწავლე და შეუკავშირებელი ბავშებიც.



68



პ ა რ ი ზ ი ს კ მ მ უ ნ ა

საფრანგეთის სატახტო ქალაქში, პარიზში, მაღალ მთაზე არის ძველის-ძველი სასაფლაო, რომელსაც ფრანგები „პერლომეს“ უწოდებენ. სასაფლაოს გარშემო ხმაურით მიმდინარეობს უდიდესი ქალაქის ცხოვრება, ხოლო აქ, მთაზე, მაღალი კედლებით შემოვლებულ ადგილზე სრული სიჩუმე სუფევს. მაგრამ წელიწადში ერთხელ ეს სასაფლაოც იღვიძებს. სასაფლაოს ყველა შემოსასვლელ კარებთან თავს იყრიან პოლიციელთა მრავალრიცხოვანი რაზმები. პოლიციელები გამძვინვარებული შესცქერიან, თუ როგორი განუწყვეტლივი რიგებით მოდიან მუშები თავიანთი ოჯახებით სასაფლაოზე. მოხმაურე ხალხი არღვევს სასაფლაოს ჩვეულებრივ სიწყნარეს. ყველა ისინი ერთი მიმართულებით მიდიან, სასაფლაოს ბოლოსაკენ, ყველაზე უფრო მაღალი კედლებისაკენ. აქ ყველაზე ბევრი პოლიციელია თავმოყრილი, ისინი არავის არ აძლევენ აქ შეჩერების უფლებას, არავის არ აძლევენ ლაპარაკის ნებას. თითქმის ყოველ წელს სცემენ აქ პოლიციელები მუშებს, ატუსაღებენ იმათ, ვინც მოინდომებს სიტყვის თქმას. და ყოველივე ეს ყოველწლიურად ხდება.

რათ მიიწვევენ მუშები მდუმარებით მოცული კედლებისაკენ?

56 წლის წინათ, 28 მაისს, ამ სასაფლაოზე ამ კედელთან დაამარცხეს მუშათა პირველი კომუნის, მუშათა პირველი სახელმწიფოს უკანასკნელი დამცველები. სწორედ აქ ისროდენ კომუნარები თავიანთ უკანასკნელ ტყვიებს, აქ ჩაიგდეს ისინი ტყვედ, აქვე დახვრიტეს, ამ კედელთან, და აქვე ხვრეტდენ მთელი კვირის განმავლობაში სხვა ადგილებში ტყვედ ჩავარდნილ მუშებს. აქ, ამ კედელთან განისვენებენ მუშათა პირველი მთავრობის დამცველები.

1871 წლის 18 მარტს დაჩაგრულმა და დამშუულმა მუშებმა გარეკეს მდიდრების მთავრობა და თვითონ აიღეს ხელში ხელისუფლება. მდიდრები გაიქცენ ქალაქიდან. მათ დაეხარა გერმანიის მთავრობა, რომელმაც წინა ხანებში ომში დაამარცხა საფრანგეთი. გერმანიამ საფრანგეთს დაუბრუნა ტყვე ჯარისკაცები, რომლებსაც, მდიდრების კარახის თანახმად, უნდა გაენადგურებიათ რევოლუციონერ ქალაქი. მდიდრებმა მოატყუეს გაუნათლებელ

ლი გლეხები, შეაშინეს ისინი, რომ პარიზის მუშებს სურთ მათთვის მიწების ჩამორთმევა. მეტად მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა მოიყარა თავი აჯანყებულ მუშათა წინააღმდეგ. 72 დღის განმავლობაში მთელი მუშები, პარიზის მთელი ღარიბი მოსახლეობა იცავდა თავის ხელისუფლებას მტრების შემოსევისაგან. ბავშვები ეხმარებოდნენ თავის უფროს ძმებს და მამებს. იმათ მიჰქონდათ სანგრებში საჭმელი, ისინი ეზიდებოდნენ მებრძოლებთან ტყვიებს. მრავალი ბავშვი გაიგმირა მტრის ტყვიით...

72 დღეს იბრძოდა მუშათა პარიზი. მაშინ ისინი ჰქმნიდნენ მუშათა პირველ ხელისუფლებას, რომელიც დაბოლოს, 28 მაისს, განადგურებულ იქნა. ამის შემდეგ 30.000 მამაკაცი, ქალი და ბავშვი იქნა დახვრეტილი გამძვინვარებული ბურჟუაზიის მიერ, ხოლო 45.000 კი სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით გადასახლებულ იქნა რამოდენიმე წლით ან სამუდამოდ კატორღაში. მათგან უმეტესობა არც კი დაბრუნებულა სამშობლოში, ისინი იქ დაიღუპნენ.

მუშათა პირველი ხელისუფლება სისხლისმარევში იქნა ჩახიჩობილი. მაგრამ მას არასდროს არ დაივიწყებენ პარიზისა და მთელი ქვეყნიერების მუშები.

და აი, შორს პარიზისგან, რუსეთის მაშინდელ სატახტო ქალაქში, ლენინგრადში, ომის მიერ დამშეული და დატანჯული მუშები 1917 წლის 25 ნოემბერს პარიზის მუშების მსგავსად მოიქცენ. მათ ჩამოაგდეს მდიდრების მთავრობა და შეჰქმნეს თავისი მთავრობა — საბჭოთა ხელისუფლება.

რუსეთის მუშებმა დააგვირგვინეს პარიზის კომუნარების საქმე. მათ შესძლეს ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ პარიზის კომუნამდ იმათ დაიწყეს მზადება რევოლუციისათვის. მათ შეჰქმნეს თავისი მუშათა კომუნისტური პარტია, მათ წამოაყენეს თავის ბელადად დიდი მასწავლებელი ლენინი, კარგად შეისწავლეს პარიზის კომუნის ისტორია, არ გაიმეორეს ის შეცდომები, რომელიც დაუშვა პარიზის კომუნამ.

და, აი, ახლა, პარიზის კომუნის 56 წლის თავზე, ამაყად ფრიალებს კომუნარების წითელი დროშა ქვეყნიერების ერთ მეექვსედ ნაწილზე.

როგორ უნდა ვიმუშაოთ წიგნით



მრავალი ბავშვი ფიქრობს, რომ არის ორგანიზირებული წიგნი: 1) წიგნი, რომელითაც რაიმეს ვსწავლობთ და 2) წიგნი, რომელსაც ვკითხულობთ მხოლოდ სიაპოვნებისათვის. პირველი მოსაწყენია, ხოლო მეორე სინტერესო.

მაგრამ არის კიდევ წიგნები, რომლებიც საჭიროა არა მარტო სწავლისათვის, არამედ ყოველ-

გვარი სხვა სამუშაოსათვის.

უწიგნოდ არ შეუძლია მუშაობა არც მასწავლებელს, არც პიონერებს, არც ინჟინერს.

ყველა ამ ადამიანისათვის წიგნი იგივეა, რაც დღურგლისათვის ნაჯახი, ან ჩაქუჩი მკედლისათვის. მათთვის ეს ის ხელსაწყოა, ურომლისოდაც მათ არ შეუძლიათ მუშაობა.

მაგრამ ხელსაწყოს ამორჩევა ესაჭიროება.

საჭიროა აგრეთვე მისი მოვლა და მოფრთხილება, ისე შეიძლება მას ვაენოთ, რაც ისევ ჩვენთვის იქნება საზარალო.

კითხვამ არ უნდა ავნოს ჯანმრთელობას.

ნუ იკითხავ წიგნს მანამდე, სანამ ძალიან დაიღლებოდე.

ნუ კითხულობ დაძინების წინ მეტად სინტერესო თავგადასავალებების წიგნს, თორემ დიდხანს არ დაგეძინება.

ნუ კითხულობ ჭამის შემდეგ — ეს საზიანოა ჯანმრთელობისათვის, ამავე დროს მაშინ მახსოვრობაც უფრო სუსტია.

ნუ კითხულობ წიგნს დახრილი — ეს ავნებს მკერდს.



არ უნდა წაიკითხო, როდესაც გტკივა თვალები. ეცადე, რომ სინათლე საკითხავ მასალაზე ეცემოდეს მარცხნიდან ან ზევიდან, რომ ის ძლიერ ნათელი არ იყოს; ნუ კითხულობ დაბნელებისას, ბნელ ოთახში — ასე შეიძლება ბეცი გახდეს.

კითხვამ არ უნდა ავნოს წიგნს.

ნუ შეეხები წიგნს უსუფთაო ხელით. ნუ ისველებ ხელს, როდესაც ფურცლავ წიგნს (გადაფურცლე ზედა კუთხიდან — უფრო ადვილი და მოსახერხებელია). ნუ ღუნავ აკინძულ წიგნს. ნუ აღნიშნავ წიგნში ნურაფერს.



ნუ დაახვევ მილსავით წიგნს, ნუ იღებ ჯიბეში ან ქაშის ქვეშ მას, — ამით წიგნი ფუჭდება.

ნუ გამოიტან წიგნს ქუჩაზე ისე, თუ არ შეახვევ მას რაიმეში კარგად.

ნუ დასტოვებ წიგნს მზეზე, რადგანაც გააყვითლებს მას, დაარბილებს წებოთი შეკრულ კანს.

საჭიროა ამასთანავე ვისწავლოთ იმით მუშაობა. ყველაფერი ეს უნდა შეეძლოს პიონერს, თუკი მას სურს იყოს მომზადებული ადამიანი.

ამერიკის სკოლებში, მაგალითად, არის ვაკვეთილები, რომელზედაც ბავშვებს ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოეპყრონ და იმუშაონ წიგნით. ჩვენში ასეთ რამეებს მხოლოდ სამკითხველოებში თუ შეისწავლიან.

„პიონერში“ ჩვენ აღვნიშნავთ რამოდენიმე რჩევას. პირველად იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყროთ წიგნს. შემდეგ იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ წიგნით, და, დაბოლოს, როგორ ამოვარჩიოთ ის — ეს ყველაზე უფრო ძნელია.


ყველა ეს წესები გარკვეული და გასაგებია თვითელი პიონერისათვის, თვითელი მოსწავლისათვის.

ეს წესები შეიძლება გადაიწერო, გადახატოსურათები, გააკეთო პლაკატები და გამოჰკიდო.

წაიკითხე მხოლოდ საჭირო წიგნები.

უნდა გახსოვდეს, რომ წიგნი ძლიერ ბევრია, ყველას წაითხვას ვერ მოასწრებ, — წაიკითხე მხოლოდ საჭირო წიგნები. ნუ კითხულობ ძლიერ დიდხანს — ასე დაიღლები და ცოტა დაგამახსოვრდება.

ნუ ჩქარობ ბევრი წაიკითხო, რამდენადაც ბევრის წაიკითხვას მოინდომებ, — იმდენად უფრო ცოტა და უფრო ცუდად დაგამახსოვრდება.



წაითხვის ძირითადი წესია: წაიკითხეთ დაკვირვებულად და ნელა: ნუ ჩქარობ, რომ ბევრი წაიკითხო. უკეთესია მეორეჯერ, მესამეჯერ წაიკითხო კარგი, მაგრამ ძნელი წიგნი. უკეთესია იფიქრო ამ წიგნის და წაითხულის შესახებ. ესაუბრე წაითხულის შესახებ ამხანაგებს.

უნდა გვახსოვდეს ლენინის სიტყვები: „სჯობს ცოტა და უკეთესი“.

მაგრამ ეს ცოტაა, — საჭიროა ეს წესები გავარჩიოთ კოლექტივში. თუ როგორ უნდა გავარჩიოთ ის — ამაზე შემდეგ. აგრეთვე შემდეგ ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ წიგნით, გახეთით და ჟურნალით, როგორ იმუშაოს კოლექტივმა ბიბლიოთეკაში, როგორ ისარგებლოს სიტყვარით და სხვა.



ჩვენნი მტრები


ბევრმა პიონერმა შეიძლება არც იცის, რომ ყველა ქვეყნებში, სადაც არსებობს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციები (პიონერების), არსებობს აგრეთვე ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციებიც. ასეთი ორგანიზაციები არსებობდა დასავლეთ ევროპაში ჯერ კიდევ ბავშთა კომუნისტური მოძრაობის წარმოშობამდე. ჩვენ ამ პატარა წერილში გავაცნობთ, თუ როგორც წარმოიშვა ეს ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები და რა შეადგენს მათ მიზანს. ყოველმა პიონერმა უნდა იცოდეს, ვინ არის მუშათა კლასის და მათი ბავშვების მტერი და ვინ მოყვარე.

ჩვენ ვიცით, რომ ბურჟუაზია გამუდმებულ სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა და აწარმოებს მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, მან (ბურჟუაზიამ) იცის, რომ იმ ბრძოლაში ის დამარცხდება, რომ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს მუშათა კლასმა. ამიტომ ის ყოველგვარ ხრიკებს და საშვლებებს ხმარობს, რომ მუშებთან ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. ახალგაზრდობას ყოველთვის ჰქონდა და აქვს დიდი მნიშვნელობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ბრძოლაში. ეს კარგად ესმის ბურჟუებს და მათ გადასწყვიტეს, რომ მოხარდი თაობა აღზარდონ თავის ყურმოჭრილ მონებად, რომ ახალგაზრდობაზე გაავრცელონ ბურჟუაზიური გავლენა, ამით თვითონ გაძლიერდნ და მუშათა კლასი კი დაასუსტონ.

აი, მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზნით დაიწყო მდიდართა კლასმა დასავლეთ ევროპაში ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციების ჩამოყალიბება. სხვადასხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები სხვადასხვა სახელწოდებებს ატარებენ. ზოგ ქვეყნებში მას უწოდებენ „სკაუტებს“, ზოგან კი — „ბალილას“; არის აგრეთვე სხვა ორგანიზაციაც, მაგ. „სლედოპიტები“, ანდა „ქრისტიანული სკოლები“ და სხვა, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებულია ზემოთაღნიშნული ორგანიზაციები „სკაუტი“ და „ბალილა“.

ამ წერილში ჩვენ ამ ორგანიზაციების წარმოშობას და რაობას შევეხებით.

„სკაუტების“ ორგანიზაცია წარმოიშვა პირველად ინგლისში, დაახლოებით 28 წლის წინეთ. მაშინ ინგლისის ბურჟუები დიდ ომს აწარმოებდნ აფრიკაში. რა თქმა უნდა, ამ ომის მიზანი იყო ინგლისის ბურჟუაზიისთვის სიმდიდრის შექმნა, აფრიკის ხალხის დაპყრობა და მონებად გადაქცევა. აი, ამ ომის დროს წარმოიშვა „სკაუტების“ ორგანი-



ნიზაცია. ეს მოხდა ასე: ინგლისის ჯარის ერთ-ერთმა გენერალმა შეადგინა ბავშვებისგან პატარა რაზმი, რომელსაც უწოდა მზვერავი, ანუ სკაუტი (სკაუტი ინგლისური სიტყვაა, ქართულად ნიშნავს მზვერავს.) ამ რაზმის დანიშნულებას შეადგენდა ინგლისის ჯარისკაცებისთვის დახმარების გაწევა. აი ამის შემდეგ იწყო ჩამოყალიბება სხვა რაზმებმაც, რომელიც მთელ ინგლისს მოედო. როგორც ვხედავთ, „სკაუტები“ იყვნენ გამომხატველი ბურჟუების ინტერესების, ისინი მათთან ერთად იბრძოდნენ დაჩაგრული ხალხის წინააღმდეგ. ინგლისიდან „სკაუტთა“ მოძრაობა გადავიდა დასავლეთ ევროპაში და თითქმის ყველა ქვეყნებს მოედდა. ბურჟუებმა გაიძვირებინათ და მოტყუილებით „სკაუტელთა“ ორგანიზაციაში ზოგი პროლეტარი ბავშვებიც კი ჩააბეს, როდესაც განვითარდა სკაუტების ორგანიზაცია. ის თანდათან ძლიერდებოდა, მასში შეკავშირდნენ მუშათა კლასის ყველა მტრის შვილები და დაიწყეს ბრძოლა მუშათა კლასის და მათი ბავშვების წინააღმდეგ. როდესაც დაიწყო 1914 წლის ბურჟუაზიული ყაჩაღური ომი, ყველა ქვეყნის სკაუტებმა მიიღეს მონაწილეობა ამ ომში, ეხმარებოდნენ თავისი ქვეყნის ბურჟუებს. ამ ომში გაიყლიტა ბევრი მუშა, და ამაში მონაწილეობას იღებდნენ სკაუტები. სამაგიეროდ ბურჟუები ძალიან ზრუნავდნენ სკაუტების შესახებ, ისინი მათ ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ.

1914 წლის ომის შემდეგ წარმოიშვა ბავშთა ფაშისტური ორგანიზაცია. ალბათ, ფაშისტები თქვენ ყველას გაგიგონიათ; ომის შემდეგ იტალიაში ძალიან განვითარდა რევოლუციონური მოძრაობა, ბურჟუაზია შეშინდა, მან იმისთვის, რომ დაეძლია მუშათა რევოლუციონური მოძრაობა, შეადგინა განსაკუთრებული ბურჟუაზიული პარტია, რომელსაც სახელად ფაშისტური პარტია უწოდეს. ეს პარტია დაუნდობლად ჟღერდა და დღესაც ჰქვლავს მუშათა კლასს, ცეცხლითა და მახვილით აქრობს მუშათა რევოლუციონურ მოძრაობას. ამ პარტიამ რამოდენიმე წლის წინეთ ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება იტალიაში. მუშების ბავშვების წინააღმდეგ საბრძოლველად ფაშისტურმა პარტიამ ჩამოაყალიბა ბავშ-

თა ფაშისტური ორგანიზაცია, რომელსაც სახელად „ბალილა“ უწოდა. ამ ფაშისტური ჯგუფების დანიშნულებას მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლა მუშათა კლასის და მათი ბავშვების წინააღმდეგ. ისინი ატარებენ შავ ბლუზებს, დადიან შეიარაღებული და სადაც წაეწვიან მუშების შვილებს, ლახავენ, ზოგს კი ჰკლავენ, სამაგიეროდ ბურჟუებისაგან ღებულობენ საჩუქარს და ყოველგვარ დახმარებას.

ბავშთა ბურჟუაზიულ მოძრაობას შეებრძოლა მუშათა ახალგაზრდობა. ბავშთა კომუნისტური მოძრაობა, რომელიც წარმოიშვა 1920 წელს, აერთიანებს პროლეტარ ბავშვებს. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ ბურჟუების ფინიებს — „სკაუტებს“ და ფაშისტურ ჯგუფებს; მათ დაიწყეს ბრძოლა ბავშთა კომჯგუფების წინააღმდეგაც. საქართველოშიაც არსებობდა წინეთ ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები. ესენი იყვნენ „სკაუტი“ და „შეარდენი“. ესენიც თავის მხრით აწარმოებდნენ ბრძოლას საქართველოს მშრომელების წინააღმდეგ. ეს იყო მაშინ, როდესაც საქართველოში არსებობდა მენშევიკური ბურჟუაზიული მთავრობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა დაამარცხეს მენშევიკები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, ბავშთა ბურჟუაზიული ორგანიზაციები დაშლილ იქნა და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა პიონერთა ორგანიზაცია. დღეს, როდესაც სწარმოებენ სასტიკი ბრძოლა მუშებსა და ბურჟუებს შორის, თითქმის ყველა ქვეყნებში არსებობს ბავშთა ბურჟუაზიული ჯგუფები, რომელიც მხარში უდგას ბურჟუაზიას და ეხმარება მას მუშების წინააღმდეგ ბრძოლაში სამაგიეროდ ყველა ქვეყნებში არსებობს პიონერთა რაზმები, რომელიც ეხმარება მუშებს.

როდესაც ბავშთა კომჯგუფები ჩამოყალიბდა, ყველა პროლეტარმა ბავშვმა, რომელიც მოტყუებით იყვნენ ჩაწერილი „სკაუტებში“, მიატოვეს ის და შევიდნენ პიონერთა ჯგუფებში; როგორც ზევით ვთქვით, ფაშისტი ბავშვები აწარმოებენ სასტიკ ბრძოლას ჩვენი მოძვე პიონერების წინააღმდეგ; მიუხედავად ამისა, ბავშთა კომჯგუფები მძლავრად ვითარდება და ისინი თავის მხრით აწარმოებენ ბრძოლას ფაშისტური ჯგუფების წინააღმდეგ.



ზრადიი



(განგრძობა).

ახლა განვიხილოთ საკითხის მეორე მხარე. იმ გარემოებას, რომ რადიო-სადგურიდან გაგზავნილი ცნობები ვრცელდება ყოველი მიმართულებით, უდიდესი ღირებულება აქვს. რა მოხდებოდა, მაგალითად, რომ უბედურების განმცდელ გემს შესძლებოდა გაეგზავნა მოწოდება მხოლოდ ერთი მიმართულებით, მხოლოდ ერთი სადგურისთვის? ატლანტის ოკეანეში მყოფმა გემმა შეიძლება არ იცოდეს ნამდვილი სამყოფი ადგილი სხვა მახლობლად მცურავი გემებისა; მაგრამ, აგზავნის რა თავის რადიო-ნიშანს უბედურების შესახებ, მან იცის, რომ რადიო-სადგურის მქონე ყველა გემი, მყოფი მის გარშემო 800 მილის ფარგალში, შესძლებს მიიღოს ეს ნიშანი და გამოეხმაუროს ამაზე.


მეორე საყურადღებო უპირატესობა, უკვე პრაქტიკაში გამოყენებული, მდგომარეობს შესაძლებლობაში გაეგზავნოს ზღვაში მყოფ გემებს უწყებანი ამინდის შესახებ, წინასწარი გაფრთხილება ზღვის მღელვარებაზე და სხვა საზოგადო ხასიათის ცნობები. მაგრამ თითქმის ამ ბოლო ხანამდე საქმე ამაზე იყო შეჩერებული. ფართედმაუწყებლობის უპირატესობა სავსებით იქნა დაფასებული, ხოლო საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული მიეღო ყველა ის დიდი უპირატესობანი, რომლებსაც იძლეოდა რადიო-გადაცემა; ამასთანავე ახლანდელ თავის მაღალ წარმატებამდე რადიოტელეფონია მივიდა უკანასკნელი წლების მუშაობათა მეოხებით.

თვით აზრი რადიოს და აგრეთვე კონცერტებისა და სხვა უმავთულო გადაცემების ფართო მასისათვის მისაწვდომელობის შესახებ შეერთებულ შტატებში აღიძრა. ამას საფუძველი ჩაეყარა იმით, რომ თავდაპირველად მოწყობილ იქნა რამდენიმე გადამცემა რადიო-ტელეფონის სადგური, რომელთაც მიიღეს სახელწოდება „ფართედმაუწყებელი სადგურებისა“. ამათ მაშინვე მიიპყრეს თავისკენ ყუ-

რადღება არა მარტო გატაცებულ რადიომოყვარულთა, არამედ ტექნიკური ცოდნის არამქონე ფართე საზოგადოებისაც. რადიო-დანადგარი, საესებით მოწყობილი და მუშაობისათვის სრულებით მზა, ყველა მსურველს შეეძლო შეეძინა. დადგამდა რა ხელსაწყოს თავის სახლში, ყველას ეძლეოდა საშუალება მოესმინა რადიო-კონცერტები, ლექციები და სიტყვები სრულებით უფასოდ. ამჟამად რადიო-დანადგართა რიცხვი ამერიკაში მილიონამდე აღწევს და ის ყოველწლიურად იზრდება. სხვა ქვეყნებშიაც ეს საქმე ამგვარივე სისწრაფით ვითარდება.

ფართედმაუწყებელი სადგურების წარმოშობამდე მეცნიერებასთან დაწაფებული მოყვარული იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო უმავთულო ცნობების მიღებით მორზეს¹⁾ ნიშნების საშუალებით. ამ ანბანის შესწავლა მოსაწყენ საქმეს წარმოადგენდა, იძულებული იყო ჩაეწერა თანდათანობით სიტყვა-სიტყვაზე და უკვე ამის შემდეგ წაეკითხა ცნობა. ახლა ჩვენთვის საკმაოა მხოლოდ ავამუშაოთ რადიომიმღები და ჩვენ შეგვიძლია დიდ მანძილზე მყოფი ფართედმაუწყებელი სადგურიდან გავიგონოთ ხმა იმგვარადვე კარგად, თითქოს ის ჩვენთან ერთ ოთახში იმყოფებოდეს. სიტყვა მიიღება ბევრად უფრო მეტი მკაფიობით, ვიდრე გრამოფონში, და ინარჩუნებს ცოცხალი სიტყვის ელფერს. თქვენ გრძნობთ, რომ მეორე მხრიდან გელაპარაკებათ ცოცხალი ადამიანი. მისი სიტყვები გაგრძობინებენ ცოცხალ პიროვნებას, იქნება ეს შესანიშნავი ლექტორი, მომღერალი, ორატორი, თუ სახელმწიფო მოღვაწე. თქვენ, თქვენსავე სახლში მჯდომარეს, შეგიძლიათ მოუსმინოთ სხვადასხვა გამოჩენილ ადამიანებს: ლექტორებს, ორატორებს და სხვა, თითქოს თქვენ იმყოფებოდეთ იმ ხალხთა კრებულ-

1) მორზეს ნიშნები ახსნილი იქნება შემდეგ წერილში.



ში, რომელთაც ბედნიერება ხვდათ მომხდარიყვნენ მსმენელთა რიცხვში, ხოლო დამატებით ამასთან თქვენ ის უპირატესობა გაქვთ, რომ იმყოფებით სახლში, ამავე დროს თვით შევიძლიათ შეარჩიოთ გართობის ესა თუ ის სახე, რომელიც თქვენ მოგწონთ.

თუ თქვენ მართლა გიყვართ მუსიკა, შეგიძლიათ მოუსმინოთ რომელიმე შესანიშნავ მომღერალს, მოისმინოთ ოპერა ან მუსიკა. თუ თქვენ გინდათ იცინოთ, შეგიძლიათ თქვენი აპარატის საშუალებით მოისმინოთ ხუმრობა და გამოჯავრებანი რომელიმე კომიკი აქტიორისა.

და ყველა ეს, შინაურ მოხერხებულ პირობებში, გაძლევთ თქვენ საკუთარ საშუალებას თავისუფ-

ლად აირჩიოთ გასართობის სახეც და დროც, როცა გექნებათ სურვილი ისარგებლოთ მით. ეს კიდევ ცოტაა, ყოველივე ამას თქვენ იღებთ სრულებით უფასოდ და საერთოდ თქვენი ნამდვილი ხარჯი იქნება ფასი, გაღებული მანქანის ყიდვაზე და მის დადგმაზე.

თქვენი სახლის ყველა მცხოვრებს შეუძლია ისარგებლოს რადიომიმღებით. სადამოხე ოჯახობას შეუძლია შეგროვდეს და მთელი საათის განმავლობაში ჰქონდეს გასართობი თავისი გემოვნების მიხედვით. და ამავე დროს არაა საჭირო არავითარი გარჯა. თქვენ დაგვირდებით მხოლოდ თქვენი მანქანის სახელუროს მობრუნება და მიღება იმ სადგურის გადმოცემისა, რომელსაც გსურთ უსმინოთ.



მესამე თაობა

ვარდებად ვიშლებით, მშრომელთა მკერდებზე ჩვენი ხმა, სიმღერა, გრუხუნებს ყველგანა; წითელი სურათით, წითელი ფერებით გვსურს მოვრთოთ მსოფლიო, გვსურს მოვრთოთ ქვეყანა!

წინ მივალთ სიმღერით, დროშების ფრიალით, ნაბიჯი მტკიცეა, კლდესავით ურყევი! მშრომელთა ბაღებში შევდივართ გრიალით, სასვლელოდ ერთია მინდორი და ხევი!

ლენინის სიყვარულს ჩვენ გულით ვატარებთ, ლენინის სიტყვები გვიღვივის ჩვენ გულში!.. ბრძოლის დროს, ნორჩები, თავს გმირსა ვაღარებთ, არ გვინდა ცხოვრება ვაგლახი და ფუჭი!..

ეს ხანა ახალი ჩვენსავით ნორჩია, სიბნელეს რომ დუნავს წითელი ელვებით! ძველი რომ დაინგრეს, მან ასე გვირჩია: — ჩვენ შევქმნათ ცხოვრება ახალი ფერებით!

უსაზღვრო სივრცეებს მივაპობთ მკერდებით, ზღვასავით ვღელავთ და ზღვასავით ვბობოქრობთ!.. ევროპის ნაპირებს ტალღასებრ ვასკდებით, ფრთაწითელ განთიადს სულ მალე იქაც ვშობთ.

გვიყვარს მზე, გულები მზიური სხივებით, მზიური ცხოვრება, მზიური გრიგალი; მიღამო გაშლილი, წითელი ფერებით, რომელსაც ამშვენებს მშრომელთა „არული“...

მოვდივართ და მოგვაქვს ცხოვრება ახალი, სალამი უფროსებს, სალამი აღმზრდელებს! მზადა ვართ—ბრძოლის დროს მტერს ჩავცეოთ ლახვარი, ფეხდაფეხ მივყვებით უფროსებს, ბელადებს.

ვარდებად ვიშლებით მშრომელთა მკერდებზე, ჩვენი ხმა, სიმღერა გრუხუნებს ყველგანა! წითელი სურათით, წითელი ფერებით გვსურს მოვრთოთ მსოფლიო, გვსურს მოვრთოთ ქვეყანა!..

შალვა აღამია.



რა უნდა წავიკითხო?

გან. სახ. კომ. სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტ. სამხ. სექციის და საქ. ბ. კ. ო. ცენტ. ბიუროს რედაქციით გამოცემულია აგნესა ჯიბერნეს წიგნი — **მზე, მთვარე და ვარსკვლავები**. ამ წიგნში ჯიბერნე სრულიად მარტივად და პოპულარულად აცნობს ბავშვს ცის სხვადასხვა სხეულებს, აცნობს, როგორ ჰქონდათ ძველად წარმოდგენილი დედამიწის ზედაპირი და როგორ აქვთ ახლა, რას წარმოადგენს მზე, მზის სისტემის უმთავრესი პლანეტები, მათი მოძრაობა, მთვარე, მთვარის ფაზები და მთვარის დაბნელება. ბავში გაეცნობა აგრეთვე ასტრონომიულ უწინდელ დასაკვირვებელ იარაღებს და ახლანდელს (მაგ. კოგრი და სხვა). წიგნში მრავალი სურათია, კარგად და მარტივად არის შედგენილი. ის, უეჭველია, დიდ დახმარებას გაუწევს მოწაფეთა თვითგანვითარებას. წიგნში 74 გვერდი და ღირს 60 კაპეიკი.



გან. სახ. კომ. სოციალური აღზრდის მთავარ-მართველობის სალიტ. სამხ. სექციის და საქ. ბ. კ. ო. ცენტ. ბიუროს რედაქციით გამოცემულია აგნესა ჯიბერნეს წიგნი — **მზე, მთვარე და ვარსკვლავები**. ამ წიგნში ჯიბერნე სრულიად მარტივად და პოპულარულად აცნობს ბავშვს ცის სხვადასხვა სხეულებს, აცნობს, როგორ ჰქონდათ ძველად წარმოდგენილი დედამიწის ზედაპირი და როგორ აქვთ ახლა, რას წარმოადგენს მზე, მზის სისტემის უმთავრესი პლანეტები, მათი მოძრაობა, მთვარე, მთვარის ფაზები და მთვარის დაბნელება. ბავში გაეცნობა აგრეთვე ასტრონომიულ უწინდელ დასაკვირვებელ იარაღებს და ახლანდელს (მაგ. კოგრი და სხვა). წიგნში მრავალი სურათია, კარგად და მარტივად არის შედგენილი. ის, უეჭველია, დიდ დახმარებას გაუწევს მოწაფეთა თვითგანვითარებას. წიგნში 74 გვერდი და ღირს 60 კაპეიკი.

ნ. კრუბსკაია — „იყავ მზად“. ეს წიგნი აცნობს მკითხველს იმის მოკლე ისტორიას, თუ როდის და ან ვინ დააარსა ჩვენი კომუნისტური პარტია. ახს-ნილია აგრეთვე, რას ნიშნავს „იყავ მზად“. შიგ მოთავსებულია ავტორის სურათი და ბიოგრაფია. ეს პატარა წიგნაკი ბავშვებს დიდად დაეხმარება თვითგანვითარებაში და აუცილებლად საჭიროა ყოველმა პიონერმა შეიძინოს ის. წიგნაკის ფასი 5 კაპეიკი.


ნილია აგრეთვე, რას ნიშნავს „იყავ მზად“. შიგ მოთავსებულია ავტორის სურათი და ბიოგრაფია. ეს პატარა წიგნაკი ბავშვებს დიდად დაეხმარება თვითგანვითარებაში და აუცილებლად საჭიროა ყოველმა პიონერმა შეიძინოს ის. წიგნაკის ფასი 5 კაპეიკი.



ხლებნიკოვის „წითელკანიანებში“ აწერილია ინდოელების ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულება და თქმულებანი. აქ ბავში სრულიად მარტივი და პოპულარული ენით გაიცნობს, თუ როგორ ცხოვრობენ, იკვებებიან, იცავენ თავს მტრისაგან წითელკანიანები, როგორ გაიჩინეს ეცხლი და ღღესაც როგორ ინახავენ მას, როგორ უცქერიან ისინი თეთრკანიანებს და მათ სწავლა-განათლებას. წიგნში მრავალი სურათია, კარგად და მარტივად არის შედგენილი და ექვს გარეშეა, რომ ის დიდად შეუწყობს ხელს მოწაფეთა თვითგანვითარებას. წიგნი ღირს 55 კაპეიკი.



ყოველი მოსწავლე, ყოველი პიონერი
უნდა კითხულობდეს თავის შურ. „პიონერს“.



გ ა მ ო ი ც ა ნ ი თ!

უასანთოდ ვინთები,
მაქვს ძლიერი თითები,
ვაძრავებ რონოდებს,
ვატრიალებ დიდ ლოდებს.

ვკამე დიდხანს
ხე!—ხე!
კბილი გავიტეხე.

მე ვარ ერთი სულიერი,
მაქვს კბილები ძლიერ მკრეფლი.



გლახს ვუყვარვარ ძლიერ
და მას არ ვშორდები,
პურის მკაძი მუდამ
მარდად ვეხმარები.

დოდო მარიჯანიძე.

ზ ე ი მ ი.

მოქმედება ხდება საზღვარგარეთ.

ორი სხვადასხვა უბნის მუშებს სურთ მიიღონ მონაწილეობა ზეიმში, რომელიც მოწყობილია სხვა უბანში.

მათი სურვილის შესრულებას ხელს უშლის პოლიციის პიკეტი, რომელიც მოთავსებულია მათი ადგილმდებარეობასა და მიზანს შორის.

მოთამაშენი იყოფიან ორ ჯგუფად და თვითელი მათგანი წარმოადგენს პროლეტარულ უბანს.

ჯგუფები ეწყობიან მოედნის ორ მოპირდაპირე მხარეზე.

მათ შუა სპეციალურად მოხაზულ ქალაქში იმყოფებიან პოლიციელები. ათ მუშაზე ერთი პოლიციელია.

მოისპის შთანგი, ყველანი გარბიან და ცდილობენ შეიჭრან მოპირდაპირე მუშათა რაიონში ისე, რომ ასცდნენ პოლიციელებს.

ისინიც უსაქმოდ არ არიან, იმათაც არ სძინავთ და აპატიმრებენ ყველას, ვის დაჭერასაც შესძლებენ და მიჰყავთ ცხენოსნებით თავიანთ მოხაზულ წრეში.

პირველი გადარბენის შემდეგ იწყება მეორე, რომელიც პოლიციელებისათვის უკვე ძნელი ხდება, რადგან მათ ახლა ორი ამოცანა აქვთ: პირველი — გაქცეულების დაკავება, მეორე — დატყვევებულების ყურისგდება.

მათი ყურისგდება კი საჭიროა, რადგან თავიანთ რაიონებში დაბრუნებულ მუშებს ხელის ხლეებით შეუძლიათ გაათავისუფლონ თავიანთი ამხანაგები.

თუ რომ გამთავისუფლებელს პოლიციელი დაიჭერს, მაშინ განთავისუფლებული ტყვე ვალდებულია უკან დაბრუნდეს.

რბენას იმეორებენ ორ ან სამჯერ და თუ ტყვედწაყვანილები მოთამაშეთა მესამედზე ნაკლები აღმოჩნდებიან, ზეიმი დასრულებულად ჩაითვლება.

მ ო ძ ე ბ ნ ე.

მოთამაშეთა წრე წარმოადგენს წითლების პარტიას.

ყველანი ერთმანეთთან მჭიდროდ მიკრულნი დგანან — იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დიდაა წრე და რიცხვი კომუნისტებისა.

შუაში მოთავსებულია ერთი, ორი ან სამი „მამებარი“.

წრეს გადასცემენ საიდუმლო ფურცელს (ზურგს უკან).

ჟანდარმები მონაწილეთა მოძრაობაზე ცდილობენ გამოარკვიონ, თუ ვისა აქვს ის ქალაქი.

ხელის შეყოფით ცდილობენ ფურცლის დაჭერას.

თუ რომელიმე ჟანდარმი მოახერხებს ამის შესრულებას, მაშინ იგი დგება ჯგუფის ჯაქვში და დაჭერილი კი, როგორც დასჯილი, დგება ჟანდარმად.

თეთრების მორევა შეიძლება მოეწყოს მხიარულად, თუ ისარგებლებენ დასაცინი სიტყვებით: „აპჩი“, „ტრრრ“, ძალის ღრენის გამოხატვით და სხვა.

ერთნაირი თამაშობის ზედიზედ მიყოლება არ ვარგა.

კარგი თამაში უბრალო სიარულით და სიმღერებით უნდა დასრულდეს.

გამოვა 1927 წ. გამოვა

თრკვირული საშაწვილთ ჟასუკათეასული

— ჟურნალი —

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი II

ჟურნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სასწეობის საქარტუელოს ბაჟმთა კომუნისტური ჯგუფების ეოჟელი წეჟრის, ორგანიზაციის ეოჟელი კოლექტივის, ბაჟმთა კომუნისტური მოძრბობის თჟითეუელი სელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვაღდებულე-ბაა გამოიწერონ

— პიონერი —

მიიღება ხელის მოწერა 1927 წლისათვის.

ჟურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სასწაღსო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარკდაქსიო კოლაგია.

გ ა ზ ე თ
„ახალგაზრდა კომუნისტი“

საქართველოს კომკავშირის ცეკას და ტფილისის კომიტეტების ორგანო

„ახალგაზრდა კომუნისტი“ უოველ ნომერში ფართო ადგილს უთმობს საერთაშორისო და საკავშირო ინფორმაციას და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდათა მოძრაობას საბჭოთა კავშირში და სასლვანგრეთ.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ ვრცლად აშუქებს მუშების, კლესების და მოჯამავრეთა უოფა-ცხოვრებას და აგრეთვე სინტემბტურად აწვდის კლესობას და მოჯამავრეებს ცნობებს საბჭოთა, ჰარტიულ, ჰროფესიონალურ და კულტურულ-სასოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ უოველ ნომერში ათავსებს წერილებს ჰიონერთა მოძრაობასე და არკვევს სხვადასხვა საკითხებს წითელ ჯარის მშენებლობის დარგში.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ ათავსებს კომკავშირულ მწერალთა ლექსებს და მოთხრობებს და ხელს უწეობს კომკავშირული შემოქმედების განვითარებას.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდაობას ლენინური აღზრდისა და სწავლების საქმეში.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ ფართო ადგილს უთმობს ფიზკულტურის, სპორტის, მეცნიერება და ტეხნიკის, ბიბლიოგრაფიის, ხელოვნების, კინოს, სასამართლოს და სხვა განყოფილებებს.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ საჭიროა თვითიული კომკავშირელისა და უოველი ახალგაზრდა მუშისა და კლესისათვის.

„ახალგაზრდა კომუნისტი“ მიიღება სელის მოწერა მთავარ კანტორაში (ტფილისი, კურსანტების ქ. № 1), ბეჭდვითი სიტევის ორგანიზაციებთან და საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის ეველ განყოფილებებში.

სელის მოწერის ჰიროვაგი: 1 თვით—30 კან.
3 „ —90 კან.
1 წლით—3 მან. 60 კან.